პატივცემულო კოლეგებო!

ქალბატონებო და ბატონებო!

აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს არსებობის მანძილზე ჩვენ, მისი წევრები, არაერთი საეტაპო, საქართველოს ისტორიაში გარდამტეხი მოვლენების მომსწრენი და უშუალო მონაწილენიც გახლდით. ეს მოვლენები, საკმაოდ სწრაფად რომ ენაცვლებოდნენ ერთმანეთს, იყვნენ ხან ტრაგიკული და სისხლიანი, ხან კიდევ საზეიმო და ქვეყნისთვის წარმატების მომტანი. რამდენიმე კვირის წინ სწორედ ასეთი მორიგი წარმატება ვიზეიმეთ ყველამ ერთად. მოხდა ისე, რომ 2023 წლის საშემოდგომო სესია დავიწყეთ ერთ საქართველოში, იგი დავასრულეთ და ახალი სასესიო პერიოდი დღეს გავხსენით უკვე სხვა საქართველოში - ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მქონე ქვეყანაში. გასული წლის 14-15 დეკემბერს ევროკავშირის საბჭოს მიერ მიღებული ისტორიული გადაწყვეტილება ნამდვილად არის საეტაპო მოვლენა, ერთგვარი საფუძველი და წინაპირობა საქართველოს წინაშე მდგარი პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური თუ სხვა პრობლემების მოსაგვარებლად. მათ შორის, მოგეხსენებათ, უმთავრესია საქართველოს დეოკუპაციისა და გამთლიანების უზენაესი მიზანი. მის განხორციელებაში აქტიური მონაწილეობა კი იყო და არის უმაღლესი საბჭოს ისტორიული მისია და დანიშნულება.

არასოდეს ვყოფილვართ და არც ამჟამად ვაპირებთ ილუზიებში ყოფნას, ამიტომ კარგად ვიცით, რომ საქართველოს წინაშე მდგარი ყველა პრობლემა, ქვეყნის გამთლიანების ჩათვლით, არის არა ევროკავშირის ან სხვა ვინმეს, არამედ მხოლოდ და მხოლოდ წარმატებული, ყველა თვალსაზრისით ძლიერი ქართული სახელმწიფოს გადასაწყვეტი. ქვეყნის წარმატებასა და გაძლიერებაში კი უეჭველად დაგვეხმარება ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაცია. სწორედ აქეთკენ გადადგა საქართველომ მორიგი მძლავრი ნაბიჯი. სხვათა შორის, ენგურს გაღმა მოკალათებულმა ოკუპანტებმა სწორად შეაფასეს ქვეყნის ამ ნაბიჯიდან მათთვის მომდინარე „საფრთხე“, რაც რუსული ანექსიონისტური პოლიტიკის გააქტიურებაში, აფხაზეთში მოქმედი საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების დევნასა და ანტიქართული ისტერიის გაძლიერებაში გამოიხატება.

ცხადია, ჩვენი შეფასებები და მოლოდინები განსხვავებულია. ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი, რეგიონში და მსოფლიოში განვითარებული მოვლენების გათვალისწინებით, ქართულ საზოგადოებაში ნამდვილად აჩენს პოზიტიურ მოლოდინებს. უკანასკნელი წლების განმავლობაში, განსაკუთრებით უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის აგრესიის დაწყების შემდეგ, ცხოვრება და საქმიანობა გვიწევს დინამიურ, სწრაფად ცვალებად სამყაროში - ისეთ სამყაროში,

სადაც პროცესები დაჩქარებულია, რაც ამ აგრესიის შედეგად ცივილიზებული სამყაროს, ნაწილობრივ მაინც გამოფხიზლების შედეგია. უმაღლესი საბჭოს წევრებისთვის ნათელია, რომ ქვეყნის გამთლიანების სამშვიდობო პოლიტიკის სრული წარმატებისთვის აუცილებელია მსოფლიოში ისეთი წესრიგის ჩამოყალიბება, როდესაც სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობები დაეფუძნება საერთაშორისო სამართლის ძალას და არა ძალის სამართალს; როდესაც კოლექტიური დასავლეთი საკუთარ ფასეულობებს, რომელთა დაცვისკენ მუდმივად მოუწოდებენ სხვა ქვეყნებს, თვითონვე არ გაცვლის საწვავის ფასზე, როგორც ამის შესახებ ორიოდე თვის წინ ბონის უნივერსიტეტში გამოსვლისას განაცხადა ნობელის პრემიის ლაურეატმა დიმიტრი მურატოვმა (ათიოდე დღის წინ საქართველოს სტუმრობდა). იმედი გვინდა ვიქონიოთ, რომ უკრაინაში მიმდინარე ომის საბოლოო შედეგი სწორედ ასეთი მსოფლიო წესრიგის ჩამოყალიბება უნდა გახდეს. ამიტომაც დგას ცივილიზებული სამყარო, მათ შორის საქართველოც, უკრაინელი ხალხის გვერდით.

ამასთანავე უნდა ითქვას, რომ კოლექტიური დასავლეთის თანადგომა უკრაინის მიმართ, მიზეზთა გამო, დღემდე არ ყოფილა არსებული გამოწვევების, ბრძოლის ველზე არსებული ვითარების პროპორციული. აშკარაა, რომ ბრიუსელი და ვაშინგტონი მათივე ფუნდამენტური სტრატეგიული ინტერესებისთვის მებრძოლ უკრაინელებს დროულად არ თუ ვერ აწვდიან საჭირო შეიარაღებას. უფრო მეტიც, ამ საკითხზე დასავლეთის ზოგიერთ ქვეყანაში ჯერ კიდევ პოლიტიკური დისკუსიები მიმდინარეობს. ამ დროს ყველანი ვხედავთ იმ დილემას, რომლის წინაშე ცივილიზებული სამყარო აღმოჩნდა: რუსეთის დაბრუნება თავის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში ან მთელი ევროპული და ევროატლანტიკური სივრცის სამხედრო-პოლიტიკური მარცხი, გეოპოლიტიკური კრახი, რომლის ნეგატიური შედეგების წინასწარ განჭვრეტა შეუძლებელია. ძნელი წარმოსადგენია, რომ, საქმე აქამდე მივიდეს. კოლექტიურმა დასავლეთმა, საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, უკვე დაიწყო ფინანსური და სამხედრო დახმარების კვლავ გამოყოფა. ხვალ და ზეგ ეს პროცესი, ალბათ, უფრო ინტენსიურად გაგრძელდება, რითაც უზრუნველყოფილი იქნება უკრაინის სრული დეოკუპაცია.

არსებული წინააღმდეგობებისა და პრობლემების მიუხედავად, შორს არც საქართველოს დეოკუპაცია და გამთლიანება უნდა იყოს. მთელ რიგ შიდა და გარე ფაქტორებთან ერთად ამაზე მიუთითებენ ქართული სახელმწიფოს პირველი პირების ბოლოდროინდელი მკაფიო გზავნილები, მათ შორის მომავალი პრემიერ-მინისტრის განცხადება საქართველოს ფიზიკურად და სულიერად გამთლიანების შესახებ. აქეთკენ იყო, არის და იქნება მიმართული საქართველოს მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკა, რომელიც ფოკუსირებულია ქვეყნის

ეროვნულ ინტერესებზე, სტაბილურობაზე და განვითარებაზე. უკრაინისთვის დახმარების გამოყოფის თაობაზე დასავლეთში მიმდინარე ზედმეტად გაჭიანურებული დისკუსიები კიდევ ერთხელ გვარწმუნებენ მოცემულ ეტაპზე ქართული სახელმწიფო პოლიტიკის აბსოლუტურ სისწორეში. ამიტომაც თავიდანვე მხარს ვუჭერდით და მომავალშიც მხარს დავუჭერთ ეროვნულ ინტერესებზე ორიენტირებულ სამშვიდობო პოლიტიკას, რომელსაც საქართველო ახორციელებს.

უმაღლესი საბჭო, მოგეხსენებათ, ვალდებულია, იყოს ქვეყნის შიგნით და საერთაშორისო არენაზე მიმდინარე რთული და წინააღმდეგობრივი პროცესების, არსებული რეალიების ადექვატური და იმოქმედოს სახელმწიფო პოლიტიკის შესაბამისად. ჩვენი საქმიანობა განვლილ სასესიო პერიოდში და მანამდეც სახელმწიფო პოლიტიკის გათვალისწინებით წარიმართებოდა, რაზეც ვსაუბრობდით წინა მიმართვებში. ამჯერად გვაქვს პატივი კოლეგების წინაშე რამდენადმე განსხვავებული მეათე მიმართვა წარმოვადგინოთ. განსხვავება კი მოახლოებული შიდა არჩევნებითაა განპირობებული. როგორც ცნობილია, აფხაზეთის კონსტიტუციისა და ჩვენი რეგლამენტის თანახმად, მორიგი შიდა არჩევნები მიმდინარე წლის აპრილის პირველ დეკადაში ჩატარდება. შესაბამისად, თავს ვალდებულად ვთვლით, წარმოვადგინოთ ერთგვარი ანგარიში უმაღლესი საბჭოს წინაშე არა მხოლოდ განვლილი სასესიო პერიოდის, არამედ ხუთი წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის, სამომავლო გეგმებისა და ამოცანების შესახებ. ცხადია, ანგარიში შეეხება ჩვენი საქმიანობის ყველა ძირითად მიმართულებას დაწყებული ორგანიზაციული, სამეურნეო, ტექნიკური საკითხებით და დასრულებული საკანონმდებლო და პოლიტიკური საქმიანობით. მსგავსი ანგარიშების წარმოდგენისას აუცილებლობა მოითხოვს წინა წლებში გაწეულ საქმიანობასთან გარკვეული პარალელების გავლებას, შედარებების გაკეთებას. მიზანი ამ შემთხვევაში მხოლოდ და მხოლოდ მოტანილი ფაქტობრივი მასალის მეტი სიცხადით წარმოჩენა გახლავთ.

2019 წლის აპრილში ჩატარებული შიდაარჩევნების შემდეგ ახალი ხელმძღვანელობა დადგა უმაღლესი საბჭოს სპიკერატის, კომისიების გარდაქმნის, აგრეთვე აპარატის სტრუქტურული რეორგანიზაციის, საკადრო ცვლილებების განხორციელების აუცილებლობის წინაშე. რაც შეეხება სპიკერატს - შემოღებულია თავმჯდომარის პირველი მოადგილის თანამდებობა, გვყავდა კიდევ ერთი განთავისუფლებული მოადგილე, ამჟამად კი ამ თანამდებობას ითავსებს ერთ-ერთი კომიტეტის თავმჯდომარე. განხორციელდა უმაღლესი საბჭოს კომისიების ისეთნაირად გარდაქმნა, რომ ამ მთავარი მუშა ორგანოების ფუნქციები შესაბამისობაში ყოფილიყო მოყვანილი საბჭოს წინაშე დასახულ ამოცანებთან, კონსტიტუციითა და რეგლამენტით განსაზღვრულ მის ფუნქციებთან, დევნილი

მოსახლეობის, ასევე გამყოფი ხაზის იქით მცხოვრები თანამოქალაქეების პრობლემებებთან თუ მოთხოვნებთან. აღნიშნული გარდაქმნები თითქმის ორი-სამი წლის განმავლობაში ეტაპობრივად ტარდებოდა, სანამ ოპტიმალურ ვარიანტამდე არ მივედით. სწორი გადაწყვეტილება იყო კომისიების გარდაქმნა კომიტეტებად, რაც გულისხმობდა არა უბრალოდ სახელის გადარქმევას, არამედ ფუნქციებისა და პასუხისმგებლობის გაზრდასაც.

როგორც ეკრანზე ვხედავთ, საბოლოო ჯამში, ჩამოყალიბდა ხუთი კომიტეტი, მათ შორის სრულიად ახალი - სოციალურ-ეკონომიკურ საკითხთა, ჯანმრთელობის დაცვისა და დევნილთა საქმეების კომიტეტი. დღეს ჩვენ ვხედავთ, რამდენად აუცილებელი ყოფილა ასეთი კომიტეტის არსებობა უმაღლესი საბჭოს შემადგენლობაში. ალბათ, დაგვეთანხმებით, იგი არის ერთ-ერთი ყველაზე გადატვირთული და ლამის 24 საათიან რეჟიმში მომუშავე კომიტეტი. მისი ფუნქციები და უფლებამოსილება კიდევ უფრო გაზარდა საქართველოს პარლამენტის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა და დეოკუპაციის საკითხთან დაკავშირებული დროებითი კომისიისა და ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის გაერთიანებული სხდომის 2022 წლის 21 თებერვლის შემდეგმა გადაწყვეტილებამ: „ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები და დევნილობაში მყოფი თანამოქალაქეების ჯანდაცვის სფეროში არსებული მდგომარეობის შესახებ“. მისი შესრულების მიმდინარეობაზე კონტროლი დაეკისრა ამ გადაწყვეტილების მიმღებთ და აფხაზეთის უმაღლეს საბჭოს. სოციალურ-ეკონომიკურ საკითხთა, ჯანმრთელობის დაცვისა და დევნილთა საქმეების კომიტეტი პირნათლად და წარმატებით ახორციელებს კონტროლს 2022 წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილების შესრულების მიმდინარეობაზე. გარკვეული ცვლილებები შეეხო ყველა კომიტეტს. გაუქმდა საკონსტიტუციო და ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტი იმ სახით, რა სახითაც ის ადრე არსებობდა და, მიზეზთა გამო, იყო სრულიად უმოქმედო. უმაღლეს საბჭოში ამჟამად ფუნქციონირებს ფაქტობრივად ახალი - ადამიანის უფლებათა დაცვისა და აფხაზეთში კონფლიქტის დარეგულირებასთან დაკავშირებულ საკითხთა კომიტეტი. საკონსტიტუციო საკითხები შეითავსა იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტმა, საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტს დაემატა რესპუბლიკური ბიუჯეტის სისტემური ანალიზის ფუნქცია. დეოკუპაციასთან და ზოგადად კონფლიქტის დარეგულირებასთან დაკავშირებული საკითხები საერთაშორისო კავშირების, განათლებისა და კულტურის კომიტეტიდან გადავიდა ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტში.

თავიდანვე ვითვალისწინებდით, რომ კომიტეტების მხოლოდ ოპტიმიზაცია საკმარისი არ იქნებოდა მათი მუშაობის გააქტიურებისთვის. სწორედ ამიტომ 2019 წლიდან დაინერგა მნიშვნელოვანი სიახლე - კომიტეტებთან შეიქმნა საკუთარი

აპარატები. მიზანი გახლდათ კომიტეტების მრავალმხრივი საქმიანობის სამართლებრივი, დოკუმენტური, საინფორმაციო, ანალიტიკური და ორგანიზაციულ-ტექნიკური უზრუნველყოფა. დასახული მიზანი მიღწეულია. ხუთწლიანმა პრაქტიკამ დაადასტურა, რომ მართალი ბრძანდებოდა ჩვენი კოლეგა ბ-ნი ანზორ წოწონავა, რომელიც წლების განმავლობაში მოითხოვდა ასეთი აპარატების ჩამოყალიბებას.

უმაღლესი საბჭოს მუშაობისთვის აუცილებელი პირობების შექმნა, მოგეხსენებათ, დიდწილად ბიუჯეტზე არის დამოკიდებული. შეგახსენებთ, რომ 2019 წელს უმაღლესი საბჭოს ბიუჯეტი 2.266. 040 ლარს შეადგენდა, 2024 წელს - 4.256.900 ლარს. ე. ი. მოხდა ბიუჯეტის სოლიდური ზრდა - თითქმის გაორმაგება. უპირველეს ყოვლისა, ეს არის საქართველოსა და აფხაზეთის მთავრობების დამსახურება. ბიუჯეტის მკვეთრმა ზრდამ, როგორც ამას ეკრანზე ვხედავთ, სახელფასო ფონდისა და სხვა ხარჯების ასეთივე ზრდა გამოიწვია. მიუხედავად იმისა, რომ არასოდეს და არავისთვის მიგვიმართავს თხოვნით ხელფასების მომატების შესახებ, 2019 წლიდან მნიშვნელოვნად არის გაზრდილი როგორც სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირების, ისე საჯარო მოხელეთა სახელფასო სარგოები, რაც ისევ და ისევ საქართველოსა და აფხაზეთის მთავრობების დამსახურებაა.

ბიუჯეტის ზრდის პირდაპირ პროპორციულად იზრდება ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა მისი ხარჯვის კანონიერებაზე და ეფექტიანობაზე. სპიკერატისთვის ეს გახლავთ უაღრესად პრინციპული და, თუ გნებავთ, ღირსების საკითხი. ყველაფერი გაკეთდა იმისათვის, რომ უმაღლეს საბჭოში აბსოლუტურად გამორიცხულიყო საბიუჯეტო სახსრების უკანონო და არამიზნობრივი ხარჯვა; რომ არავის, შიგნიდან იქნებოდა ეს თუ გარედან, არ ჰქონოდა საფუძველი ცილისწამებისთვისაც კი. ხმამაღლა და ამაყად ვიტყვით - ეს მიზანი მიღწეულია. ამაში ეჭვის შეტანა შეუძლია მხოლოდ ადამიანს, რომელსაც, საკუთარი მენტალიტეტიდან და პირადი გამოცდილებიდან გამომდინარე, ვერ წარმოუდგენია ბიუჯეტის განკარგვა ფინანსური დარღვევების, კორუფციის გარეშე, როგორც ეს ქვეყანაში შორეულ წარსულში ხდებოდა. ვფიქრობ, იმ შორეული წარსულის გადმონაშთები ჩვენთან არ არიან, მაგრამ თუ სადმე მსგავსი ვინმე გამოჩნდა, ის აუცილებლად მიიღებს საკადრის პასუხს. სპიკერატი მზადაა აიტანოს, უფრო მეტიც, ყურადღებით მოეკიდოს ნებისმიერ სამართლიან კრიტიკას პოლიტიკურ, სამართლებრივ და სხვა მიმდინარე საკითხებზე, მაგრამ არავის ეპატიება უზნეო ცილისწამებისა და სრულიად უსაფუძვლო ჭორების გავრცელება, რაც აზიანებს ზოგადად აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების იმიჯს.

უმაღლეს საბჭოში საბიუჯეტო სახსრები ნამდვილად ეფექტიანად და კანონმდებლობის სრული დაცვით იხარჯება. ამის დამადასტურებელი მრავალი ფაქტი არსებობს, მაგრამ მოვიტანთ მხოლოდ ერთ მკაფიო მაგალითს. მოგეხსენებათ, უმაღლესი საბჭოს წინაშე მისი აღდგენის დღიდან, მეტ-ნაკლები სიმწვავით მუდმივად იდგა ოფისის, სამუშაო პირობების პრობლემა. ძველი ოფისი, რომელიც 2011 წელს გადმოგვეცა, ბევრად უკეთესი იყო, ვიდრე მანამდე გვქონია, მაგრამ არც ის აღმოჩნდა საკმარისი. აფხაზეთის მთავრობის დახმარებით, ეს პრობლემა მოგვარებულია. იმ ძველი, 503, 69 კვადრატულ მეტრი ფართის მქონე ოფისის ნაცვლად გვაქვს ახალი, რომლის ფართი თითქმის ორჯერ მეტია - 912, 82 კვადრატული მეტრი. გავრცელებული ჭორების თანახმად, ოფისების მოწყობა ყოველთვის დიდ, ზოგჯერ კი საეჭვო ხარჯებთან არის დაკავშირებული. რა მოხდა ჩვენს შემთხვევაში? არავის არაფერში არ ვადანაშაულებთ, მაგრამ შედარებისთვის მოგახსენებთ, რომ ძველი ოფისის მოწყობაში 2011 და 2016 წლებში დაიხარჯა 65 361 ლარი, მაშინდელი კურსით - 35 706 დოლარი. თითქმის ორჯერ უფრო დიდი ახალი ოფისის კეთილმოწყობაში თავისი სხდომათა დარბაზით, საუკეთესო საოფისე ავეჯით მის სრულად აღჭურვაში, 2020 - 2021 წლებში დაიხარჯა 96 758 ლარი, მაშინდელი კურსით - 30864 დოლარი. მოტანილი ციფრები მეტყველებენ იმაზე, რომ 2011 და 2016 წლებში ძველი ოფისის კეთილმოწყობაში, არაფერს ვამბობთ კეთილმოწყობის ხარისხზე, დაიხარჯა 35 706 დოლარი, მაშინ როდესაც თითქმის ორჯერ მეტი ფართის მქონე ახალი ოფისისა და სხდომათა დარბაზის საშუალოზე მაღალი ხარისხით კეთილმოწყობაში 2020 და 2021 წლებში დახარჯულია მხოლოდ 30864 დოლარი. აი, სარემონტო სამუშაოების შესრულებისას საბიუჯეტო სახსრების რაციონალურად, ეკონომიურად ხარჯვის შესანიშნავი, მე ვიტყოდი, მისაბაძი მაგალითი. ასე ხდება ყოველთვის, როდესაც ხელმძღვანელები, ფინანსებზე უშუალოდ პასუხისმგებელი პირები სახელმწიფოებრივად, არსებული კანონმდებლობის სრული დაცვით, ზოგჯერ ზედმეტი, მაგრამ, საბოლოო ჯამში, მაინც გამართლებული სიფრთხილით უდგებიან საბიუჯეტო სახსრების ხარჯვას. ეს ეხება არა მხოლოდ სარემონტო სამუშაოების შესრულებას, სხვადასხვა სამეურნეო ხარჯების გაწევას, არამედ, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, მთლიანად საბიუჯეტო სახსრების განკარგვას.

უმაღლესი საბჭოს არსებობის მთელს მანძილზე პირველად ვეღირსეთ ოფისს საკუთარი სხდომათა დარბაზით. იგი ძვირადღირებული თანამედროვე ტექნიკით არის აღჭურვილი, რომლის შეძენაში საბიუჯეტო სახსრები არ დახარჯულა. სხდომათა დარბაზის მოწყობით ასევე პირველად მოგვეცა პლენარული და პრეზიდიუმის სხდომების უწყვეტი ვიდეო-აუდიო გადაღების, მასალების ელექტრონულად დაარქივების, დისტანციურ რეჟიმში სხდომებისა და

სხვა ღონისძიებების ჩატარების შესაძლებლობა. როგორც არაერთხელ გვითქვამს, საქართველოში სახელმწიფო დაწესებულებებს შორის ჩვენ ვიყავით პირველები, ვინც დანერგა დისტანციური მუშაობის სისტემა. რომ არა ეს სისტემა და მას სრულყოფილად დაუფლებული ჩვენი ახალგაზრდა თანამშრომლები, 2020-2021 წლებში - ანუ პანდემიის პერიოდში სხდომების ჩატარებაც კი ძალიან გაგვიჭირდებოდა.

სათანადო ოფისისა და სხდომათა დარბაზის გარდა, გვაკლდა ბევრი რამ. უმაღლესი საბჭო არ იყო უზრუნველყოფილი საკმარისი რაოდენობის კომპიუტერული ტექნიკითაც კი, რომლის გარეშე მუშაობა თანამედროვე პირობებში შეუძლებელია. ეს პრობლემაც მოგვარებულია - ყველა დეპუტატი და თანამშრომელი აღჭურვილია კომპიუტერით ან ლეპტოპით. ვისთვისაც ეს აუცილებელია, აქვს ერთიც და მეორეც. შემოყვანილია მაღალი სიჩქარის ინტერნეტი, რამაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესა ინტერნეტმომსახურების ხარისხი. გასულ წლებში დღემდე გაურკვეველ ვითარებაში დაიკარგა ლეპტოპები და კომპიუტერები, დაიკარგა სკანერი, რაც ამჟამადაც დანაკლისში გვეთვლება. მსგავსი შემთხვევების თავიდან აცილების მიზნით, კანონმდებლობის სრული დაცვით, დერეფნებში დამონტაჟდა ვიდეოკამერები, რის შემდეგაც უმაღლეს საბჭოში არაფერი დაკარგულა. შესაბამისად, ხუთი წლის განმავლობაში არანაირი დანაკლისი არ გვაქვს და, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, არც გვექნება. ცხადია, ეს მხოლოდ ვიდეოკამერების დამსახურება არ არის. რადგანაც დანაკლისებს შევეხეთ, იმასაც მოგახსენებთ, რომ უმაღლესი საბჭო ბოლო წლებში განთავისუფლდა ძველი დავალიანებების ნაწილისაგან 9. 6 ათასი ლარის ოდენობით. ჯერ კიდევ დანაკლისში გვერიცხება ბევრი რამ, რაც წინა წლებიდან გვერგო მემკვიდრეობით - დაწყებული ავტომანქანით და დამთავრებული კომპიუტერებითა და იარაღით.

2019 წლიდან უმაღლესი საბჭოს აპარატში განხორციელდა ძირეული რეორგანიზაცია. ეს იყო ძალიან მტკივნეული პროცესი, მაგრამ ამასთანავე აუცილებელი ზომა. ხშირ შემთხვევაში უფუნქციო, უმოქმედო სტრუქტურები ჩანაცვლდა ახალი, ფუნქციებით დატვირთული და მოქმედი სტრუქტურებით. შვიდი დეპარტამენტი და სამსახური, ასევე რანგით მათთან გათანაბრებული კიდევ ორი სტუქტურა, რომლებსაც ეკრანზე ვხედავთ, შეიცვალა ხუთი დეპარტამენტითა და სამსახურით. ამასთანავე განხორციელდა უპირატესად ახალგაზრდა, თანამედროვე განათლების მქონე კადრების დაწინაურება. გამონთავისუფლებული საშტატო ერთეულებიც ახალგაზრდა პერსპექტიული კადრებით შეივსო. უმაღლესი საბჭოს აპარატში მოვიდნენ მაღალი დონის პროფესიონალები - იურისტები, ეკონომისტები, ფინანსისტები, მართვის, საზოგადოებასთან ურთიერთობისა და აიტი სპეციალისტები, რომლებიც

შესაბამის კომიტეტებში და აპარატის სხვადსხვა სტრუქტურულ ერთეულებში არიან დასაქმებულები. მაღალი რანგის იურისტებით დაკომპლექტდა თავმჯდომარის კაბინეტიც. მისი წევრების აქტიური და ხშირად გადამწყვეტი მონაწილეობის გარეშე არ მომზადებულა არც ერთი კანონპროექტი თუ დადგენილება. ადრეც გვითქვამს და დღესაც სიამოვნებით გავიმეორებთ, რომ უმაღლეს საბჭოში, მის აპარატში იღწვიან სამი თაობის წარმომადგენლები, რომლებიც ბევრს სწავლობენ და კიდევ უფრო მეტი უნდა ისწავლონ ერთმანეთისაგან. მე პირადად ნამდვილად ბევრს ვსწავლობ ახალგაზრდებისაგან და ამ განწყობით ვაპირებ მუშაობის გაგრძელებას. აპარატში დარჩენილი ძველი თანამშრომლების უმრავლესობა და ახალი კადრების თითქმის 100% მაღალი ან უმაღლესი რანგის პროფესიონალები არიან. ეს ადამიანები კეთისინდისიერად ასრულებენ თავიანთ მოვალეობებს. ამასთანავე გვყავს თანამშრომელთა მცირე ჯგუფიც, რომელსაც საკუთარი მოვალეობების მიმართ, რბილად ვიტყვით, ჯერ კიდევ განსხვავებული დამოკიდებულება გააჩნია. კომიტეტების თავმჯდომარეებმა და უმაღლესი საბჭოს აპარატის ხელმძღვანელობამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ ასეთ თანამშრომლებს, რომელთა ვინაობა ცნობილია.

ამასთან დაკავშირებით კოლეგებს მინდა შევახსენო 2019 წელი, როდესაც აპარატის ზოგიერთი თანამშრომლისთვის გვიხდებოდა იმის ახსნა, იმის მტკიცება, რომ სამუშაო დღე არის რვასაათიანი, რომლის განმავლობაში სამსახურებრივი მოვალეობა უნდა შეასრულო; რომ სამუშაო დროს ოფისიდან უნებართვოდ გასვლა დაუშვებელია და ა. შ. ეს ფაქტი მიუთითებს შრომითი დისციპლინის თვალსაზრისით უმაღლეს საბჭოში მაშინ არსებულ კატასტროფულ მდგომარეობაზე. აპარატის ხელმძღვანელობის ძალისხმევითა და, საგანგებოდ უნდა აღვნიშნოთ, კომიტეტების თავმჯდომარეთა აქტიური მხარდაჭერით მოხერხდა უმაღლეს საბჭოში წესრიგის დამყარება. იყო სირთულეები, იყო გადახრებიც, მაგრამ შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ დღეისათვის თანამშრომელთა შრომითი დისციპლინის პრობლემა დიდწილად მოხსნილია. პრობლემის დიდწილად მოხსნა იმას ნიშნავს, რომ იგი ნაწილობრივ მაინც არსებობს. შესაბამისად, აპარატის ხელმძღვანელობას მართებს მეტი ძალისხმევა, რათა ის სრულად აღმოიფხვრას.

უმაღლესი საბჭოს საქმიანობაში თავისი წვლილი შეაქვთ შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ ადამიანებს. წინა წლებისაგან განსხვავებით, ყოველი დასაქმებული, მძღოლებისა და ფრაქციების სპეციალისტების გარდა, ყოველთვიურად აპარატში წარადგენს ანგარიშს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების მიმდინარეობის შესახებ. ნებისმიერ ადამიანს, მითუმეტეს დეპუტატს აქვს ამ ანგარიშების გაცნობისა და

შეფასების შესაძლებლობა. შრომითი ხელშეკრულებით ადამიანების სამსახურში აყვანა და განთავისუფლება მკაცრად კონტროლდება სპიკერატის მხრიდან, რაც გარანტირებულად გამორიცხავს ყოველგვარ კანონდარღვევას. ნებისმიერ შემთხვევაში, აპარატის ხელმძღვანელობამ მეტი ყურადღება უნდა დაუთმოს შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულთა მუშაობის ეფექტიანობის ამაღლებას.

საქართველოს, მათ შორის აფხაზეთის ა/რ სახელისუფლებო ორგანოებს შორის უმაღლესი საბჭო, სამწუხაროდ, იყო ერთადერთი, ვინც წლების განმავლობაში ვერ ახერხებდა საქმისწარმოების ელექტრონულ სისტემაზე გადასვლას. ამის მიზეზი სათანადო სამუშაო პირობების, ტექნიკური ბაზის არარსებობა და სპეციალისტების ნაკლებობა გახლდათ. შესაფერისი პირობები მხოლოდ ზემოაღნიშნული გარდაქმნების შედეგად შეიქმნა და, მართალია, დაგვიანებით, მაგრამ 2023 წლიდან უკვე გადავედით საქმისწარმოების ერთიან ელექტრონულ სისტემაზე. არ არის აუცილებელი ამ სისტემის მთელ რიგ უპირატესობებზე საუბარი, რაც კოლეგებისთვის ისედაც კარგად არის ცნობილი. ყურადღება მინდა გავამახვილო მხოლოდ იმ გარემოებაზე, რომ აღნიშნული სისტემა წარმოადგენს ერთგვარ სარკეს, რომელზეც აისახება ან უნდა აისახოს უმაღლესი საბჭოს საქმიანობა. ერთწლიანი პრაქტიკა კი გვიჩვენებს, რომ საქმისწარმოების ელექტრონულ სისტემაში ჯერ კიდევ სრულად არ აისახება რეალურად შესრულებული სამუშაოების მთლიანი მოცულობა, რაც ორი ძირითადი მიზეზით აიხსნება. პირველ რიგში, საქმე გვაქვს საკადრო პრობლემასთან. სამწუხაროდ, მცირე რაოდენობით, მაგრამ მაინც გვყავს ისეთი თანამშრომლები, რომლებსაც უჭირთ კომპიუტერთან მუშაობა. სრულყოფილად ვერ ფლობდე კომპიუტერს XXI საუკუნეში ნიშნავს, რომ იყო წერა-კითხვის უცოდინარი. მინდა კატეგორიულად განვაცხადო, რომ ასეთ საჯარო მოხელეებს, წერა-კითხვის უცოდინარ ადამიანებს უმაღლეს საბჭოში არაფერი ესაქმებათ. კომიტეტების თავმჯდომარეებს და აპარატის უფროსს ვთხოვ ეს გარემოება გაითვალისწინონ და მიიღონ სათანადო ზომები. მეორე მიზეზი ეხება ყველა დონის ხელმძღვანელ პირს, თქვენი მონა-მორჩილის ჩათვლით. ვინმეს რომ არ ვაწყენინოთ, საკუთარ თავზე მოგახსენებთ - კოლეგებისთვის და განსაკუთრებით აპარატის თანამშრომლებისთვის უამრავი დავალება გვაქვს ზეპირად მიცემული. მარტო ქალბატონ ნინო ხუნჯუას ასობით ზეპირი დავალება მივეცით, არაფერს ვამბობთ ქ-ნ ნანა კვარაცხელიაზე, აპარატის ხელმძღვანელებზე, თავმჯდომარის კაბინეტის წევრებზე. ზეპირად გაცემული არც დავალება და არც მისი შესრულება საქმისწარმოების ელექტრონულ სისტემაში, ცხადია, არ აისახება, რაც უნდა გამოსწორდეს.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ბოლო წლებში განხორციელებული რეორგანიზაციისა და სხვა აუცილებელი ზომების შედეგად უმაღლეს საბჭოს გააჩნია სავსებით ნორმალური, საშუალოზე მაღალი დონის სამუშაო პირობები;

აქვს გამართული სტრუქტურა; ჰყავს უპირატესად ახალგაზრდა პროფესიონალებით, ზოგ შემთხვევაში, კარგი გაგებით ამბიციური თანამშრომლებით დაკომპლექტებული ქმედუნარიანი აპარატი. როდესაც საქმე გვაქვს თანამშრომლებთან, რომლებიც შემოქმედებითად უდგებიან მათთვის დაკისრებული მოვალეობების შესრულებას; რომლებიც მუდმივად ახლის ძიებაში არიან, უმაღლესი საბჭოსა და აპარატის ხელმძღვანელები ვალდებული ვართ წავახალისოთ ასეთი ადამიანები, შევუქმნათ მათ შესაბამისი პირობები, უფრო მშვიდი და საქმიანი გარემო მუშაობისთვის; ურთიერთობებში კი გამოვიჩინოთ მეტი კოლეგიალობა, მეტი ნდობა; მაქსიმალურად გავითვალისწინოთ მათგან წამოსული წინადადებები და რეკომენდაციები. ყოველივე ამით კიდევ უფრო საინტერესო და ეფექტიანი გახდება უმაღლესი საბჭოს საკანონმდებლო, პოლიტიკური და ორგანიზაციული საქმიანობა, რაზეც პასუხიმგებლები ვართ ჩვენ - დეპუტატები.

როგორი კარგი სამუშაო პირობებიც არ უნდა გვქონდეს, როგორი აპარატი და როგორი თანამშრომლებიც არ უნდა გვყავდეს, საბოლოო ჯამში, ყველაფერი მაინც დეპუტაციაზეა დამოკიდებული. უმაღლესი საბჭოს ხელმძღვანელობამ თავიდანვე იზრუნა იმისათვის, რომ დაგვეძლია ობიექტური და სუბიექტური მიზეზების გამო ჩამოყალიბებულ თემატურ უმრავლესობასა და უმცირესობას შორის ადრე არსებული დაპირისპირება. ცხადია, ამის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა მუშაობის დაწყებაც კი წინასწარ გაცხადებული მიზნებისა და ამოცანების შესასრულებლად. მოგეხსენებათ, არ არსებობს პოლიტიკური დაპირისპირების დაძლევის რაიმე ინსტრუქცია ან რეცეპტი. უმაღლესი საბჭოს ხელმძღვანელობას მიაჩნდა და მიაჩნია, რომ დაპირისპირების დასაძლევად და მომავალშიც მის თავიდან ასაცილებლად საკმარისი არ არის ამ თემაზე გაუთავებელი საუბრები და განცხადებები ან თუნდაც დადგენილებების მიღება. საჭირო იყო შესაბამისი სამუშაო გარემოს დამკვიდრება, კოლეგიალობისა და კომპრომისების გზით სიარული. მიზნად იქნა დასახული არა უსაგნო, ზერელე და დაუსრულებელი დისკუსიების გამართვა, არამედ საერთო ძალისხმევით კონკრეტული საქმის კეთება; სხვადასხვა საკითხებზე ერთობლივი მუშაობის უზრუნველყოფა; აფხაზეთთან დაკავშირებული ახალი პრობლემების, ახალი იდეებისა და თემების ჩვენი ყოველდღიური საქმიანობის დღის წესრიგში შემოტანა, რომლებზეც მთელი უმაღლესი საბჭო იმუშავებდა; კოლეგების მხრიდან წამოსული ინიციატივების მხარდაჭერა; განსხვავებული, მათ შორის კრიტიკული მოსაზრებების მაქსიმალური გათვალისწინება და ა. შ. მოგეხსენებათ, ასეთ პირობებში ნაკლები დრო და ადგილი რჩება დაპირისპირებებისთვის, ზერელე განცხადებებისთვის; სამაგიეროდ ყალიბდება

საქმიანი სამუშაო გარემო, რომელსაც ყოველთვის თან ახლავს ასეთივე საქმიანი დისკუსიები და დებატები.

ეს ყოველივე, შეიძლება ითქვას, პოლიტიკის ანაბანაა და ამაში ახალი თითქოს არაფერია, მაგრამ როგორც პრაქტიკა, უმაღლესი საბჭოს უახლესი წარსული, ასევე ჩვენს ირგვლივ მიმდინარე პოლიტიკური ცხოვრება, საქართველოში არსებული რეალობა გვიჩვენებს, ერთიანობა არც ისე მარტივი მისაღწევი ფუფუნებაა. საქართველოს პარლამენტშიც კი ვერ მოხერხდა ერთობლივი მუშაობა ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან საკითხებზე; არც საკრებულოებში ვხედავთ დიდ სიამტკბილობას.

ისმის კითხვა - უმაღლეს საბჭოში, სადაც ცხარე დისკუსიები იშვიათობას სულაც არ წარმოადგენს, რატომ ხერხდება შეთანხმების მიღწევა, დიდი უმრავლესობითაც გადაწყვეტილებების მიღება, რასაც ვერ ვხედავთ სხვა წარმომადგენლობით ორგანოებში. ოთხი წლის წინ - 2020 წლის 4 თებერვალს - საგაზაფხულო სასესიო პერიოდის გახსნაზე წარმოდგენილ მიმართვაში ვცადეთ მსგავს კითხვაზე პასუხის გაცემა, მაგრამ, თქვენის ნებართვით, კვლავაც შევეცდებით გავაკეთოთ იგივე ოდნავ განსხვავებული ფორმით.

უმაღლესი საბჭოს ხანგრძლივი და, საბოლოო ჯამში, წარმატებული მუშაობის მთავარი განმაპირობებელი იყო და არის მისი უნიკალური შემადგენლობა. დეპუტატთა კორპუსის დიდი უმრავლესობა თუნდაც იმით არის უნიკალური, რომ თითოეული ჩვენთაგანი თავის დროზე იყო რადიკალურად განსხვავებული, რადიკალურად ერთმანეთთან დაპირისპირებული პოლიტიკური პარტიების, უფრო მეტიც, იმ ავადმოსაგონარი სისხლიანი სამოქალაქო ომის პერიოდში ბარიკადების სხვადასხვა მხარეს მყოფი ძალების წარმომადგენელი. მიუხედავად ამისა, ჩვენი მრავალწლიანი საქმიანობით ყველამ ერთად საქართველოს დიდი ხნის წინ ვაჩვენეთ ქვეყნის მასშტაბით დღემდე მიუღწეველი, მაგრამ მისი განვითარებისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელი დეპოლარიზაციის კლასიკური მაგალითი.

უმაღლესი საბჭოს შემადგენლობის უნიკალურობაზე მიუთითებს თანამედროვე ქართული სახელმწიფოს დამფუძნებლების, ქვეყნის უპირველეს დოკუმენტზე - სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე ხელმომწერების მხოლოდ ჩვენს რიგებში ყოფნა. ამ ჭეშმარიტად ისტორიული პიროვნებების გვერდით მუშაობა უდიდესი პატივიც არის და პასუხისმგებლობაც. დარწმუნებული ვარ, ასე ფიქრობს კოლეგების დიდი უმრავლესობაც, რაც კარგად ჩანს სხდომათა დარბაზშიც. უმაღლესი საბჭოს რიგებში არიან ადამიანები, რომლებიც წარმართავდნენ ქართულ ეროვნულ-გამანთავისუფლებელ მოძრაობას აფხაზეთში, მის ცალკეულ რაიონებსა და ქალაქებში. დეპუტატთა შორის არიან

ქალბატონები - აფხაზეთში და მთლიანად საქართველოში ეროვნული მოძრაობის ყველაზე გამორჩეული აქტივისტები, რომლებსაც იმ რთულ ვითარებაში დიდი წვლილი მიუძღვით ქართველთა კანონიერი ინტერესების დაცვაში.

უმაღლესი საბჭოს შემადგენლობის უნიკალურობა იმაშიც გამოიხატება, რომ მისი 20 წევრიდან 10 - ანუ ნახევარი სხვადასხვა დროს საქართველოს პარლამენტის წევრი ბრძანდებოდა; ორი ჩვენი კოლეგა ოთხი მოწვევის საქართველოს პარლამენტის წევრია, ოთხი დეპუტატი (ადრე ბევრად მეტი) სამგზის მოწვევის პარლამენტარია, მათ შორის ერთ-ერთი წლების განმავლობაში პარლამენტის ვიცე-სპიკერის პოზიციას იკავებდა; კიდევ ოთხი დეპუტატი - თითო მოწვევის პარლამენტის წევრი გახლავთ. ჩვენს კოლეგებს - სხვადასხვა მოწვევის პარლამენტარებს - აქტიური მონაწილეობა აქვთ მიღებული საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის, ასევე სამოქალაქო დაპირისპირება და ომგამოვლილი, განადგურებული საქართველოს აღდგენაში, სახელმწიფო ინსტიტუტების მშენებლობაში, პირველ რიგში, ქართული პარლამენტარიზმის ჩამოყალიბებასა და დამკვიდრებაში, აფხაზეთის პრობლემატიკის მაღალ დონეზე წარმოჩენაში ქვეყნის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ. 90-იან და ნულოვან წლებში საქართველოს პარლამენტში მათ მიერ შექმნილმა სამართლებრივმა და პოლიტიკურმა აქტებმა თავის დროზე კარგი სამსახური გაუწიეს ქართულ სახელმწიფოს და, დარწმუნებული ვარ, მომავალშიც მნიშვნელოვან როლს შეასრულებენ, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც დღის წესრიგში დადგება აფხაზეთის დეოკუპაციისა და საქართველოს შემადგენლობაში მისი რეინტეგრაციის საკითხი.

უმაღლესი საბჭოს დეპუტატებს შორის არიან საქართველოს, მათ შორის აფხაზეთის აღმასრულებელ ხელისუფლებაში მუშაობის უზარმაზარი გამოცდილების მქონე ადამიანები - საქართველოს მთავრობის ყოფილი წევრი, აფხაზეთის მთავრობის ყოფილი თავმჯდომარე, მთავრობის თავმჯდომარის ყოფილი პირველი მოადგილე, აფხაზეთის მთავრობის წევრი, გამოცდილი დიპლომატი და სახელმწიფო მოხელე. ჩვენს რიგებში არიან თავის დროზე აფხაზეთში წარმატებული ადამიანებიც - რაიონების ყოფილი თავკაცები, საკავშირო მნიშვნელობის უმსხვილესი სამშენებლო საწარმოს ხელმძღვანელი და სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, მეცნიერების სხვადასხვა სფეროში დღემდე მოღვაწე ექვსი დოქტორი და ა. შ.

სწორედ ამგვარი, ჭეშმარიტად უნიკალური შემადგენლობა განაპირობებს უმაღლესი საბჭოს წევრთა აბსოლუტური უმრავლესობის ერთიანობას და მაღალ პასუხისმგებლობას, განსახილველი საკითხებისადმი, პრობლემებისადმი არა პარტიულ, არა პიროვნულ, არამედ სახელმწიფოებრივ მიდგომას, აქედან

გამომდინარე, წარმატებულ საქმიანობას. ხელმძღვანელობის ვალია გაუფრთხილდეს ამ შემადგენლობას, რომელთანაც მუშაობა, ერთ შემთხვევაში, ძალიან ადვილია, მეორე შემთხვევაში - უკიდურესად ძნელი; ორივე შემთხვევაში კი - უზარმაზარი პასუხისმგებლობა. სპიკერატი ვალდებულია გაითვალისწინოს, რომ უმაღლესი საბჭოს ასეთი შემადგენლობის პირობებში აუცილებელია ურთიერთობების, თუნდაც ადმინისტრირების, რამდენადმე განსხვავებული ფორმებისა და მეთოდების გამოყენება.

უმაღლესი საბჭოს შემადგენლობაზე საუბრისას არ შემიძლია ხაზგასმით არ აღვნიშნო, რომ 2022 წლის დასაწყისისთვის დეპუტატთა აბსოლუტური უმრავლესობის ერთობლივი გადაწყვეტილებით გამოვასწორეთ წინა წლებში ასევე ერთობლივად დაშვებული შეცდომა, რის შედეგადაც ჩვენს რიგებს დაუბრუნდა ოთხი დეპუტატი - ქალბატონები ეთერ ასტემიროვა, რაისა უბილავა, ბატონები ბორის კაკუბავა და თემურ კალანდია. ვალდებული ვართ კიდევ ერთხელ ბოდიში მოვუხადოთ და იმავდროულად მადლობაც ვუთხრათ ამ ღირსეულ ადამიანებს. ალბათ, კოლეგები დამეთანხმებან, რომ მათი წვლილი უმაღლესი საბჭოს გამართულ ფუნქციონირებაში ძალიან მნიშვნელოვანია. მოგეხსენებათ, ჩვენი სპეციფიკური მდგომარეობა მოითხოვს დეპუტატთა კორპუსის შემადგენლობის შენარჩუნებისთვის განსაკუთრებულ ზრუნვას. ამასთან დაკავშირებით მიღებული ზომები, ვგულისხმობ რეგლამენტში შეტანილ გარკვეულ ცვლილებებს, გამორიცხავენ მომავალში მსგავსი შეცდომების განმეორებას.

საერთო ძალისხმევით გახორციელებული გარდაქმნებისა და დანერგილი სიახლეების წყალობით მოხერხდა უმაღლესი საბჭოს საქმიანობის გააქტიურება, რაზეც კონკრეტული მონაცემები მიუთითებენ. აღმასრულებელი ხელისუფლებისგან განსხვავებით, საკანონმდებლო - წარმომადგენლობითი ორგანოს საქმიანობის შეფასების ერთ-ერთი კრიტერიუმი გახლავთ ჩატარებული სხდომებისა და განხილული საკითხების რაოდენობა. ეკრანზე ვხედავთ, რა მდგომარეობა გვაქვს ამ თვალსაზრისით. 2019 წლის 8 აპრილიდან 2024 წლის იანვრის ჩათვლით ჩატარებულია 152 პლენარული სხდომა, მათ შორის 13 - გასულ სასესიო პერიოდში; განხილულია 274 საკითხი, მათ შორის 29 - გასულ სასესიო პერიოდში. უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში მოწვეულია პრეზიდიუმის 223 სხდომა, რომლის დღის წესრიგში იდგა 537 საკითხი, მათ შორის 19 სხდომა ჩატარდა განვლილ სასესიო პერიოდში და განიხილა 47 საკითხი. აღნიშნული მონაცემების ობიექტური შეფასება მოითხოვს წინა ხუთწლიან პერიოდთან მის შედარებას. 2014-2019 წლებში გვაქვს ასეთი სურათი: ჩატარებულია 59 პლენარული სხდომა, განხილულია 98 საკითხი; პრეზიდიუმის 129 სხდომამ კი განიხილა 234 საკითხი. როგორც ვხედავთ, სხვაობა ძალიან დიდია. შედარება არა

მხოლოდ წინა ხუთწლიან, არამედ ათწლიან პერიოდთანაც საკმაოდ შთამბეჭდავად გამოიყურება. 2009-2019 წლებში მოწვეულია 117 პლენარული სხდომა, განხილულია195 საკითხი; პრეზიდიუმის 265 სხდომის დღის წესრიგში კი იდგა 529 საკითხი. მოტანილი სტატისტიკა გვაძლევს ორი ძირითადი დასკვნის გაკეთების საშუალებას. პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ უმაღლესი საბჭო ყველა დროში - ხუთი თუ ათი წლის წინათაც შესაძლებლობების ფარგლებში აგრძელებდა მუშაობას; მეორეც - უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში მუშაობის ინტენსიურობა სულ ცოტა ორჯერ მაინც არის გაზრდილი.

უმაღლესი საბჭოს მუშაობის გააქტიურებაზე მიუთითებენ კომიტეტების მიერ ჩატარებული სხდომებიც. ასე მაგალითად, სოციალურ-ეკონომიკურ, ჯანდაცვისა და დევნილთა საქმეების კომიტეტმა 2019-2023 წლებში ჩაატარა 114 სხდომა და განიხილა 306 საკითხი; იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტმა - 108 სხდომა, განხილულია150 საკითხი; საერთაშორისო კავშირების, განათლებისა და კულტურის კომიტეტმა - 80 სხდომა, განიხილა 84 საკითხი; საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტმა - 76 სხდომა, განიხილა 136 საკითხი; ადამიანის უფლებათა დაცვისა და აფხაზეთში კონფლიქტის დარეგულირებასთან დაკავშირებულ საკითხთა კომიტეტმა, რომელიც 2021 წლის 1 ივნისს შეიქმნა, ამ მოკლე ხნის მანძილზე ჩაატარა 32 სხდომა და განიხილა 44 საკითხი. მოტანილი მშრალი ციფრების უკან მთლიანად უმაღლესი საბჭოს, განსაკუთრებით კომიტეტების თავმჯდომარეებისა და წევრების, ჩვენი თანამშრომლების კოლოსალური ძალისხმევა, ასევე მრავალრიცხოვანი ყოველდღიური პრაქტიკული საკითხების გადაწყვეტისკენ მიმართული დაუღალავი შრომა დგას, რომლის სტატისტიკურ ცხრილებში ასახვა შეუძლებელია. ეს არის, პატივცემულო კოლეგებო, თქვენი დამსახურება, რისთვისაც არ შემიძლია უღრმესი მადლობა არ მოგახსენოთ.

უმაღლესი საბჭოს მუშაობის შეფასებისას ჩატარებული სხდომებისა და განხილული საკითხების რაოდენობა ერთ-ერთი კრიტერიუმი კი არის, მაგრამ კიდევ უფრო მნიშვნელოვანია საქმიანობის ის ძირითადი მიმართულებები, საკითხთა ის წრე, პრობლემატიკა, რითაც ვიყავით დაკავებულები. უმაღლესი საბჭო, როგორც საკანონმდებლო ორგანო, განსაკუთრებულ ყურადღებას, რა თქმა უნდა, კანონშემოქმედებით საქმიანობას უთმობდა. 2019 წლის 21 ნოემბერს დავამტკიცეთ აფხაზეთის კონსტიტუციის ახალი რედაქცია, რომელიც ჩვენი წამყვანი იურისტების ძალისხმევით, საქართველოს პარლამენტის დახმარებითა და მხარდაჭერით იქნა შემუშავებული. ამით აფხაზეთის ა/რ ძირითადი კანონი საქართველოს კონსტიტუციის ახალ რედაქციასთან სრულ შესაბამისობაში იქნა მოყვანილი. განხორციელდა ცვლილებები აფხაზეთის კანონებში: „მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“,

„ნორმატიული აქტების შესახებ“, „ქონების შესახებ“, „სავაჭრო-სამრეწველო პალატის შესახებ“. რესპუბლიკური ბიუჯეტისა და მასში ცვლილებების ჩათვლით მთლიანობაში მიღებული გვაქვს 43 კანონი. დავამტკიცეთ ასევე კანონის ძალის მქონე უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის ახალი რედაქცია. გარდა ამისა, რეგლამენტში დამატებით შეტანილია კიდევ 20 ცვლილება.

უმაღლესმა საბჭომ 2019 წლიდან დღემდე საკანონმდებლო ინიციატივის წესით საქართველოს პარლამენტში წარადგინა 13 კანონპროექტი - ოთხჯერ მეტი, ვიდრე უმაღლესი საბჭოს არსებობის მთელს მანძილზე. მისასალმებელია, რომ კანონპროექტთა უმრავლესობა ინიცირებული იყო აფხაზეთის მთავრობის მიერ. ცამეტივე კანონპროექტი პარლამენტმა განსახილველად მიიღო. მათ შორის დამტკიცებულია 3: „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“. მეოთხე კანონპროექტმა „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ სამ საპარლამენტო კომიტეტში პირველი მოსმენა გაიარა, რის შემდეგაც განხილვები არ გამართულა. იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტი, ბატონი ვახტანგ ყოლბაია, რომელიც აღნიშნულ საკითხზე მომხსენებელი გახლავთ პარლამენტში, აფხაზეთის მთავრობასთან ერთად, იმედი გვაქვს, გაარკვევს განხილვის შეჩერების მიზეზებს და ამ საკითხს ბოლომდე მიიყვანს.

საქართველოს პარლამენტმა თავის საკანონმდებლო საქმიანობაში ძირითადად გაითვალისწინა უმაღლესი საბჭოს მიერ წარდგენილი კიდევ ხუთი კანონპროექტი. მინდა შეგახსენოთ, რომ 2021 წლის საგაზაფხულო სასესიო პერიოდში (2021 წლის 25 თებერვალს და 25 მაისს) პარლამენტში წარვადგინეთ აფხაზეთის მთავრობის მიერ ინიცირებული 5 კანონპროექტი, რომლებიც სამხედრო მობილიზაციის ჩატარებასთან, სავალდებულო სამხედრო სამსახურში ან რეზერვში გაწვევასთან, აგრეთვე სამხედრო სამსახურის გადავადებასთან დაკავშირებულ სხვადასხვა კანონებში ცვლილებებს ითვალისწინებდნენ. იმავე წლის 21 ოქტომბერს ხუთივე კანონპროექტი გარკვეული პირობებით გამოვიწვიეთ პარლამენტიდან. რა პირობებზეა საუბარი?

იმჟამად უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში იხილებოდა საქართველოს კანონი - „თავდაცვის კოდექსი“. მისი მიღების შემდეგ საერთოდ უქმდებოდა იმ კანონების უმეტესობა, რომლებშიც ვითხოვდით ცვლილების შეტანას. შესაბამისად, აზრი დაკარგა მათში ცვლილებების განხორციელებამ, სამაგიეროდ

მივიღეთ დაპირება, რომ სწორედ ამ კოდექსში აისახებოდა ჩვენი კანონპროექტებით გათვალისწინებული რეგულაციები. ასეც მოხდა - აფხაზეთის მთავრობის მიერ ინიცირებული და უმაღლესი საბჭოს მიერ საქართველოს პარლამენტში საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარდგენილი და მერე გამოწვეული კანონპროექტებით გათვალისწინებული რეგულაციების უმეტესობა, როგორც ეს ეკრანზეც შეგვიძლია ვნახოთ, ნამდვილად არის შეტანილი „თავდაცვის კოდექსის“ 180-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებში, ასევე იმავე მუხლის მე-6, მე-11 და მე-12 ნაწილებში. მათში განსაზღვრულია აფხაზეთის ა/რ მთავრობის, ასევე აჟარის მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებები იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა სამხედრო აღრიცხვისა და წვევამდელთა ეროვნულ სამხედრო სამსახურში გაწვევის სფეროში. ამრიგად, ჩვენ, აფხაზეთის უმაღლესმა საბჭომ და მთავრობამ, საკუთარი წვლილი შევიტანეთ ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესი კანონის - „თავდაცვის კოდექსის“ სრულყოფაში.

უმაღლესი საბჭო განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა და ანიჭებს „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ ორგანულ კანონში ცვლილების პროექტს, რომელიც საქართველოს პარლამენტში პირველად 2020 წლის ივნისში წარვადგინეთ. მიუხედავად იმისა, რომ კანონპროექტი მიღებული იყო განსახილველად, მიზეზთა გამო, მისი განხილვა არ დაწყებულა. სხვადასხვა დაინტერესებულ უწყებებში ჩატარებული კონსულტაციების შემდეგ მოხდა აღნიშნული კანონპროექტის გამოწვევა. 2023 წლის 1 მარტს საქართველოს პარლამენტს წარედგენა იმავე კანონპროექტის ახალი ვერსია და მასთან ერთიან პაკეტში - კანონპროექტი „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ“. აღნიშნული კანონპროექტები ითვალისწინებენ უცხოეთში მყოფი აფხაზეთიდან დევნილებისთვის, აგრეთვე ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებთათვის საქართველოს მოქალაქეობის აღდგენის თუ მიღების პროცედურების გამარტივებას. სამწუხაროდ, მათი განხილვაც დაწყებული არ არის. ამ ეტაპზე სახელმწიფოს, ალბათ, აქვს საფუძველი თავშეკავებისთვის, თუმცა დარწმუნებული ვართ, ადრე თუ გვიან - უფრო ადრე, ვიდრე გვიან, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც დღის წესრიგში დადგება საქართველოს შემადგენლობაში აფხაზეთის რეინტეგრაციის, ხოლო აფხაზეთში დევნილთა დაბრუნების საკითხი, პარლამენტი იმ კანონპროექტებს კიდევ უფრო გამარტივებული სახით მიიღებს, თანაც დაჩქარებული წესით. ჩვენთვის ცნობილია ასევე, რომ ქართული დიასპორების წარმომადგენლებმა საზღვარგარეთის ქვეყნებიდან, რა თქმა უნდა, აფხაზეთიდან დევნილების მონაწილეობით, უკვე მიმართეს საქართველოს ხელისუფლებას, მათ შორის პარლამენტს, თხოვნით სხვადასხვა მიზეზების გამო საქართველოდან დროებით

წასული ადამიანებისთვის მოქალაქეობის აღდგენის საკითხში არსებული ბარიერების მოხსნის შესახებ. უმაღლესი საბჭო აუცილებლად გააგრძელებს ამ მიმართულებით მუშაობას.

საკანონმდებლო საქმიანობის შემადგენელ ნაწილად რჩება საქართველოს პარლამენტიდან შემოსულ კანონპროექტებზე მუშაობა. შესაბამისი კომიტეტები იხილავენ მათ, ამზადებენ სათანადო დასკვნებს, რომლებსაც პარლამენტს უგზავნიან. ხუთი წლის მანძილზე პარლამენტიდან შემოსულია 669 კანონპროექტი. მათი შესწავლა, განხილვა და დასკვნების მომზადება საკმაოდ შრომატევადი სამუშაოა, რომელსაც უმაღლესი საბჭოს ყველა კომიტეტი კეთილსინდისიერად ასრულებს. ეს სამუშაო განსაკუთრებით მძიმე ტვირთად აწვება იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა და სოციალურ-ეკონომიკურ საკითხთა, ჯანმრთელობის დაცვისა და დევნილთა საქმეების კომიტეტებს. 2023 წლის თებერვლიდან პარლამენტი კანონპროექტებს არ უგზავნის აფხაზეთისა და აჭარის უმაღლეს საბჭოებს, რადგანაც აქვეყნებს მათ საკუთარ ვებ გვერდზე. შესაბამისად, ყველა დაინტერესებულ უწყებას, მათ შორის უმაღლეს საბჭოს, აქვს აღნიშნული კანონპროექტების გაცნობისა და პარლამენტისთვის შენიშვნებისა და წინადადებების მიწოდების უფლებაც და მოვალეობაც. უმაღლესი საბჭოს კომიტეტები ვალდებული არიან მომავალშიც გააგრძელონ ამ მოვალეობის შესრულება. ჩვენ ხომ კარგად უნდა ვიცოდეთ რა კანონები იხილება პარლამენტში, რამდენად ეხება ან არ ეხება ესა თუ ის კანონი აფხაზეთს, რამდენად არის ან არ არის მასში გათვალისწინებული ავტონომიის ინტერესები, უფლებები და მოვალეობები. ალბათ, უპრიანი იქნება ჩვენთვის საინტერესო კანონპროექტების გამოვლენა დაევალოს თავმჯდომარის კაბინეტს, რათა შემდგომში გადაიგზავნოს შესაბამის კომიტეტებში განსახილველად.

უმაღლესი საბჭო გააგრძელებს საკანონმდებლო საქმიანობას, მათ შორის საქართველოს პარლამენტში ისეთი ინიციატივების წარდგენას, რომლებიც მიმართული იქნება ენგურს გაღმა-გამოღმა, ასევე საზღვარგარეთ მცხოვრები ჩვენი თანამოქალაქეების უფლებების დაცვისკენ. მიმდინარეობს მუშაობა „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა შესახებ“ და „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონებში ცვლილების პროექტის მოსამზადებლად, რომელიც დაინტერესებულ ორგანიზაციებთან წინასწარი განხილვის შემდეგ, საკანონმდებლო ინიციტივის წესით პარლამენტს წარედგინება. იმედი გვაქვს, საკანონმდებლო ინიციატივების მიმართულებით აფხაზეთის მთავრობა კვლავაც აქტიური იქნება. განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებთ უმაღლეს საბჭოში უკვე დაწყებულ მუშაობას საკმაოდ ამბიციურ დოკუმენტზე - მომავალი აფხაზეთის მომავალი კონსტიტუციის პროექტზე. მუშაობის დაწყებას წინ

უძღოდა ყველაზე მოწინავე ევროპული გამოცდილების შესწავლა, ამ მიზნით შვეიცარიასა (ბერნის კანტონი) და იტალიაში (სამხრეთ ტიროლი) განხორციელებული ვიზიტები. დაგეგმილია ასევე ვიზიტი ფინეთში - ალანდის კუძულებზე. აფხაზეთის მომავალი კონსტიტუციის ძირითად დებულებებზე ჯერ ნაადრევია კონკრეტული საუბარი, მხოლოდ იმას მოგახსენებთ, რომ 2024 წლის შემოდგომისთვის პროექტი მზად იქნება განსახილველად. ვფიქრობთ, სპეციალური კომისია ბ-ნ ნუგზარ მგალობლიშვილის ხელმძღვანელობით მიმდინარე სასესიო პერიოდში დაასრულებს ჩვენი მთავრობის ინიციატივით დაწყებულ მუშაობას აფხაზეთის სიმბოლიკის - დროშისა და გერბის პროექტებზეც.

კანონებისა და კანონპროექტების გარდა, უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში მიღებულია 48 დადგენილება, რომლებიც სხვადასხვა სამართლებრივ, პოლიტიკურ და ორგანიზაციულ საკითხებს ეხება. საერთაშორისო სამართლისა და ქართული კანონმდებლობის გათვალისწინებით, უმაღლესმა საბჭომ პირველად დაიწყო აფხაზეთში ჩატარებული ე. წ. არჩევნების, ასევე რუსეთის ფედერაციასა და აფხაზეთს შორის დადებული და შემდგომში „რატიფიცირებული“ უკანონო შეთანხმებების საკუთარი დადგენილებებით ბათილად ცნობა. მსგავსი დადგენელებები, მართალია, დღეს არსებულ რეალობაზე, კრემლის აგრესიულ პოლიტიკაზე გავლენას ვერ ახდენენ, მაგრამ ეჭვიც არ გვეპარება, ხვალ და ზეგ მათ საფუძველზე იურიდიული ძალის არმქონედ გამოცხადდება ყველა ის „შეთანხმება“ და უკანონო აქტი, რომელთა მიზანია აფხაზეთის ანექსია, შესაბამისად, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფა, მისი მოქალაქეების ფუნდამენტური უფლებების დარღვევა.

ოკუპირებულ ტერიტორიაზე როგორც პოლიტიკური კუთხით, ისე სოციალურ-ეკონომიკური და ყველა სხვა მიმართულებით არსებული ვითარება, მისი საფუძვლიანი შესწავლა და შეფასება, იქ მიმდინარე პროცესებზე სხვადასხვა ფორმით რეაგირება გახდა უმაღლესი საბჭოს საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება. ამასთან დაკავშირებით უმაღლეს საბჭოში 2019 წლიდან განახლდა დიდი ხნის წინ მივიწყებული ბრიფინგების გამართვა. განვლილი ხუთი წლის განმავლობაში, გასული სასესიო პერიოდის ჩათვლით, ჩატარებულია 40 ბრიფინგი მედიაჰოლდინგ „კვირაში“, ასევე მედიაცენტრ „მთავარში“, რომლებიც ჩვენი პარტნიორები არიან. უმაღლესი საბჭოს კომიტეტები მათი პროფილის მიხედვით სწავლობენ აფხაზეთში არსებულ ვითარებას და ამის შესახებ პერიოდულად მოახსენებენ პრეზიდიუმსა და პლენარულ სხდომებს. ასეთი მოხსენებებით უმაღლესი საბჭოს წინაშე წარსდგნენ ქ-ნი ადა მარშანია, ბატონები რუდიკ ცატავა, ვახტანგ ყოლბაია და მურმან კვარაცხელია. მომხსენებლებმა

კოლეგებისგან მაღალი შეფასებები დაიმსახურეს. რაც უფრო ვუღრმავდებით აფხაზეთში არსებულ ვითარებას, მით უფრო ვგრძნობთ ამ მიმართულებით მუშაობის გააქტიურების, კიდევ უფრო გაღრმავების აუცილებლობას. დარწმუნებული ვართ, ასეც მოხდება მიმდინარე და შემდგომ სასესიო პერიოდებში.

უმაღლეს საბჭოში დანერგილ სიახლეთა შორის გამოვყოფდით მთავრობის წევრების საკმაოდ ხშირ სტუმრობებს უმაღლეს საბჭოში - ინტერპელაციის წესითა და მინისტრის საათის ფარგლებში მათ მოსმენებს პლენარულ სხდომებზე. სამთავრობო პროგრამის შესრულების მიმდინარეობის შესახებ უმაღლეს საბჭოში მთავრობის თავმჯდომარის ყოველწლიურ მოხსენებებთან ერთად ეს გახლავთ როგორც ცალკეული სამინისტროების, ისე მთლიანობაში მთავრობის საქმიანობაზე კონტროლის განხორციელების და იმავდროულად ურთიერთთანამშრომლობის საუკეთესო ფორმა. ვფიქრობთ, იგი უაღრესად სასარგებლოა მთავრობისთვისაც, უმაღლესი საბჭოსთვისაც და, რაც მთავარია, ჩვენი საერთო საქმისთვისაც. ამიტომაც მსგავსი მოსმენები აუცილებლად გაგრძელდება და მათ შესახებ საზოგადოებაც ინფორმირებული იქნება. მთლიანობაში შეიძლება ითქვას, რომ, მცირე გაუგებრობების, სამართლიანი თუ უსამართლო კრიტიკის მიუხედავად, მთელი ამ ხუთი წლის განმავლობაში უმაღლესი საბჭოს ურთიერთობა მთავრობასთან იყო საქმიანი, ნაყოფიერი და მომავალშიც ასე გაგრძელდება.

ჩვენს საქმიანობაში ერთ-ერთი სიახლე გახლავთ კომიტეტების თავმჯდომარეების ყოველწლიური მოსმენები პლენარულ სხდომებზე. სიახლედ უნდა ჩაითვალოს ასევე ყოველი ახალი სასესიო პერიოდის გახსნის დღეს თავმჯდომარის მიერ სპიკერატის სახელით მიმართვის - ფაქტობრივად ანგარიშის წარმოდგენა. არა მგონია, რომელიმე კოლეგას ჰქონდეს კითხვები ასეთი ანგარიშების წარმოდგენის მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით. პირველ რიგში, სხვადასხვა არჩევით თანამდებობაზე მყოფი დეპუტატები ვალდებული ვართ ანგარიში ჩავაბაროთ კოლეგებს, ვინც მოგვცა მანდატი ამა თუ იმ თანამდებობის დასაკავებლად. გარდა ამისა, მოგეხსენებათ, უმაღლესი საბჭოს ყველა წევრი არის ანგარიშვალდებული დევნილებად ქცეული და საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში, ასევე საზღვარგარეთ მცხოვრები ჩვენი ამომრჩევლების წინაშე. სპიკერატის სახელით გაკეთებული მიმართვებითა და კომიტეტის თავმჯდომარეთა მოსმენებით პლენარულ სხდომებზე ვასრულებთ ჩვენს ვალდებულებას, ანგარიშს ვაბარებთ არა მხოლოდ უმაღლესი საბჭოს წევრებს ანუ ერთმანეთს, არამედ ამომრჩევლებს, დევნილებს, რომლებსაც აინტერესებთ, რას ვაკეთებთ მთელი ამ 30 წლის მანძილზე; ანგარიშს ვაბარებთ ასევე ქართულ საზოგადოებას, რომელსაც ჩვენზე ნაკლებად არ ტკივა აფხაზეთი და აინტერესებს, რა კეთდება ქვეყანაში

კონფლიქტის მოგვარების კუთხით. სხვათა შორის, უმაღლესი საბჭოს აპარატს ხშირად უწევს სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციისთვის თუ კონკრეტული პირისთვის დეტალური ინფორმაციის მიწოდება უმაღლესი საბჭოს საქმიანობის შესახებ ანუ საზოგადოების ინტერესი ნამდვილად არსებობს. ერთი სიტყვით, ანგარიშების მოსმენები გაგრძელდება, ამასთანავე უნდა უზრუნველვყოთ მათი ხელმისაწვდომობა ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის თუ ორგანიზაციისთვის, ფართო საზოგადოებისთვის, უპირველეს ყოვლისა, აფხაზეთიდან დევნილებისთვის.

უმაღლესი საბჭოს წევრებს კარგად მოეხსენებათ, რა დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის პოლიტიკურ და იდეოლოგიურ მუშაობას, დევნილ და ოკუპირებული ტერიტორიის მოსახლეობასთან ურთიერთობას, მათ მუდმივ ინფორმირებას . დევნილ მოსახლეობას და ნებისმიერ სხვა მოქალაქეს, მისი სურვილის შემთხვევაში, ყველა შესაძლებლობა აქვს სოციალური ქსელების მეშვეობით და სხვა არხებით მოიპოვოს მისთვის საინტერესო ინფორმაცია უმაღლესი საბჭოს კანონშემოქმედებითი, პოლიტიკური და იდეოლოგიური მუშაობის, აფხაზეთში და მის ირგვლივ არსებული ვითარების შესახებ. სწორედ საზოგადოების ინფორმირების მიზნით არის აპარატში შექმნილი საზოგადოებასთან ურთიერთობის, ანალიტიკისა და პროტოკოლის დეპარტამენტი ბ-ნ ხვიჩა ქარდავას ხელმძღვანელობით. დეპარტამენტი უძღვება ვებგვერდს, სადაც რეგულარულად ქვეყნდება სრულყოფილი ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომია ჩვენი თანამოქალაქეებისთვის. განვლილი ხუთი წლის განმავლობაში უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე განთავსდა 1351 საინფორმაციო მასალა. ბევრია ეს თუ ცოტა? დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემამდე ვნახოთ რა მდგომარეობა გვქონდა 2010 წლიდან, როდესაც ჩვენი ვებგვერდი შეიქმნა. წინა ცხრა-ათი წლის განმავლობაშიც ანუ 2010-2019 წლებში გავრცელდა 955 ინფორმაცია ანუ ბევრად ნაკლები, ვიდრე მიმდინარე ხუთწლიან პერიოდში. ცალკე 2014-2019 წლებს თუ ავიღებთ, ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულია მხოლოდ 420 ინფორმაცია ანუ სამჯერ ნაკლები, ვიდრე 2019-2024 წლებში. მოტანილი სტასტიკის გათვალისწინებით, ზემოთ დასმულ კითხვაზე შეგვიძლია ვუპასუხოთ, რომ საინფორმაციო სფეროშიც მუშაობა გაუმჯობესებულია, მაგრამ არასაკმარისად. სამწუხაროდ, ვერ მივაღწიეთ, რომ უმაღლესი საბჭოს კომიტეტების საქმიანობა ვებგვერდზე სათანადოდ იყოს ასახული, თუმცა წინა სასესიო პერიოდებთან შედარებით პატარა პროგრესი აქაც შეინიშნება.

საინფორმაციო მიმართულებით გაწეული მუშაობა, მოგეხსენებათ, მხოლოდ გავრცელებული ინფორმაციის რაოდენობით არ ფასდება. ბევრად უფრო მნიშვნელოვანია გავრცელებულ მასალის ხარისხი, გავრცელების არეალი, ნახვების რაოდენობა და ა. შ. როგორც სტატისტიკური მონაცემები გვიჩვენებენ,

2019 წლიდან დღემდე უმაღლესი საბჭოს ვებგვერდს აქვს თითქმის 2 მლნ ნახვა. 2010 წლიდან დღემდე ნახვების რაოდენობა 5.2 მლნ-ს აღწევს. აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ვებგვერდი საკმაოდ კარგად ასრულებს თავის ფუნქციას. საზოგადოებასთან ურთიერთობის, ანალიტიკისა და პროტოკოლის დეპარტამენტს აქვს ყველა რესურსი მუშაობის გააქტიურებისთვის. ბ-ნ თამაზ ხუბუას ვთხოვთ, ყურადღება მიაქციოს ამ საკითხს.

საინფორმაციო საქმიანობას უმაღლესი საბჭო ახორციელებს არა მხოლოდ საკუთარი ვებგვერდის მეშვეობით. ამ კუთხით ძალიან გვეხმარება აფხაზეთის მთავრობის საინფორმაციო-ანალიტიკური ცენტრი, მედიაცენტრი „მთავარი“, მედია ჰოლდინგი „კვირა“ და საინფორმაციო სააგენტო „თაიმერი“, რომლებთანაც პარტნიორული ურთიერთობა გვაკავშირებს. 2019 წლის ბოლოდან მარტო სააგენტო „თაიმერმა“უმაღლესი საბჭოდან მიწოდებული 200-ზე მეტი ინფორმაცია გაავრცელა, რომელთა ნახვების რაოდენობა 3 მლნ-ს აჭარბებს, რაც ცუდი მაჩვენებელი ნამდვილად არ არის. 2024 წლიდან ჩვენს მედიაპარტნიორთა რიცხვს შეემატა კიდევ ორი საინფორმაციო საშუალება, რომლებთანაც დავიწყეთ ოფიციალური თანამშრომლობა. ესენი არიან სააგენტო ongo.ge, ასევე „ქართული TV“, სადაც ბ-ნ მურმან კვარაცხელიას კვირაში ერთხელ მიჰყავს გადაცემა „ჩემო აფხაზეთო“.

უმაღლესი საბჭოს საინფორმაციო და იდეოლოგიური საქმიანობა არ შემოიფარგლება ზემოაღნიშნულ მედიაპარტნიორებთან თანამშრომლობით. როგორც ცნობილია, აღნიშნული მიმართულებით დიდ მუშაობას ეწევიან ბლოგერები, მათ შორის ბატონი დავით ჟვანია. მის მიერ მოპოვებული ინფორმაციებით, უმაღლესი საბჭოს გარდა, სარგებლობენ საქართველოს სამთავრობო სტრუქტურები, სხვა დაინტერესებული უწყებები და, წარმოიდგინეთ, ენგურს გაღმაც კი. ბატონი დ. ჟვანია ინსტაგრამისა და ტიკ-ტოკის მეშვეობით ყოველდღიურად ავრცელებს ოცდაათამდე ახალ ინფორმაციას. მის ინსტაგრამს თვეში საშუალოდ 300-400 ათასი ანუ წელიწადში 4-5 მლნ მნახველი ჰყავს. ტიკ-ტოკზე გავრცელებულ ინფორმაციას მხოლოდ გასული ორი წლის განმავლობაში - 2022-2023 წლებში ჰყავდა 22 მლნ მნახველი. არაფერს ვამბობთ ფეისბუქის მეშვეობით გავრცელებულ ინფორმაციაზე. საკმაოდ ფართოა ინფორმაციის გავრცელების არეალიც - ეს არის სრულიად საქართველო აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ჩათვლით, ეს არის ოკუპანტი სახელმწიფო და პოსტსაბჭოთა სივრცის დიდი ნაწილი. ვინაიდან ინფორმაცია ძირითადად ქართულ და რუსულ ენებზეა, შედარებით მცირე რაოდენობის მნახველი გვყავს ევროპაში. დღემდე ვერ მოხერხდა ამ სამწუხარო ხარვეზის გამოსწორება, რაც ინგლისურენოვანი ინფორმაციის გავრცელებით არის შესაძლებელი.

მთლიანობაში, როგორც ვხედავთ, საინფორმაციო და იდეოლოგიური მუშაობა უმაღლეს საბჭოში საკმაოდ მაღალ დონეზეა დაყენებული. ენგურსგაღმიდან ხშირად გვესმის აფხაზური მხარის წუხილი იმის თაობაზე, რომ აგებენ ინფორმაციულ ომს ქართველებთან, რაც სიმართლეს შეეფერება. ყოველივე ამაში მნიშვნელოვანი წვლილი სწორედ უმაღლეს საბჭოს მიუძღვის.

იდეოლოგიური მუშაობის შემადგენელი ნაწილია აფხაზეთისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციები. მსგავსი კონფერენციები უმაღლეს საბჭოში ან ჩვენი თანამომონაწილეობით სხვადასხვა უნივერსიტეტებში, უმთავრესად სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში ტარდებოდა. 2014-2019 წლებში უმაღლესი საბჭოს წევრებმა, ასევე თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს და აფხაზეთის პრობლემატიკაზე მოხსენებებით გამოვიდნენ 7 სამეცნიერო კონფერენციაზე, 2019-2023 წლებში - 30 კონფერენციაზე. რა თქმა უნდა, მუშაობა ამ მიმართულებით გაგრძელდება. მიმდინარე სასესიო პერიოდში და 2024 წლის ბოლომდე მოგვიწევს ძალიან მნიშვნელოვან საიუბილეო თარიღებთან დაკავშირებული არაერთი კონფერენციის ჩატარება. მიუხედავად იმისა, რომ უმაღლეს საბჭოში მეცნიერთა ნაკლებობა არ არის, ჩვენ არ ვართ სამეცნიერო დაწესებულება, ამიტომ სამეცნიერო კონფერენციებს ვატარებთ აკადემიური წრეების ჩართულობით. ჩვენი ეგიდით ჩატარებულ კონფერენციებს, სამეცნიეროსთან ერთად აქვთ პრაქტიკული დანიშნულება. თითოეული კონფერენციის მიზანია აფხაზურ საზოგადოებასთან შერიგებისა და ნდობის აღდგენის, ასევე დეოკუპაციისა და არაღიარების სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებაში ჩვენი მოკრძალებული წვლილის შეტანა. ასე მაგალითად, მიმდინარე წლის თებერვლის ბოლომდე იგეგმება დიმიტრი გულიას 150-ე წლისთავისადმი მიძღვნილი კონფერენციის ჩატარება. არა მგონია, რაიმე კითხვის ნიშანი წარმოიშვას იმასთან დაკავშირებით, რატომ და რისთვის უნდა ჩატარდეს ასეთი კონფერენცია, თანაც უმაღლესი საბჭოს მონაწილეობით. 7 მარტს ჟიული შარტავას მე-80 წლისთავი ღირსეულად უნდა აღვნიშნოთ. ამ შემთხვევაშიც, ვფიქრობთ, ყველაფერი გასაგებია.

ამა წლის 20 მარტს სრულდება 105 წელი აფხაზეთის სახალხო საბჭოს მიერ საქართველოს შემადგენლობაში აფხაზეთის ავტონომიის გამოცხადებიდან. ჩვენი სურვილია სწორედ ამ დღეს მოხდეს არზაყან ემუხვარის ბარელიეფის გახსნა პრაღაში. კოლეგებისთვის ცნობილია, რომ ბარელიეფი, რომელიც ბატონების ნუგზარ მგალობლიშვილის, ზურაბ ჯგუბურიას ძალისხმევითა და აფხაზეთის მთავრობის მხარდაჭერით დამზადდა, უკვე პრაღაშია. მის გახსნასთან დაკავშირებით ჩეხეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოსა და ქართული დიასპორის ჩართულობით იგეგმება ავტონომიური აფხაზეთისადმი და არზაყან ემუხვარისადმი მიძღვნილი ღონისძიების ჩატარება.

საგაზაფხულო სასესიო პერიოდის ბოლოსკენ გაიმართება გამოჩენილი სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწის, დიპლომატის, ამიერკავკასიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების ინიციატორისა და პირველი საგარეო საქმეთა მინისტრის, თუნდაც იმ ავტონომიური აფხაზეთის მთავარი შემოქმედის, აფხაზეთის მკვიდრის აკაკი ჩხენკელის 150-ე წლისთავისადმი მიძღვნილი კონფერენცია.

მიმდინარე წელს სრულდება 100 წელი 1924 წლის სახალხო აჯანყებიდან. ამ აჯანყებას ჰყავდა თავისი გმირები ეთნიკურ აფხაზთა შორისაც. ყველა დროის აფხაზური ოფიციოზი, მათ შორის დღევანდელი საოკუპაციო რეჟიმი, მასთან ერთად აფხაზური ისტორიოგრაფია მიზანმიმართულად ცდილობს მათი სახელების მიჩქმალვას. ამით მოსკოვს დღემდე უმტკიცებენ, რომ ეთნიკური აფხაზები ერთიანად მხარს უჭერდნენ საბჭოთა რუსეთს და არა მისგან გამოყოფილ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას. 1924 წლის ანტისაბჭოთა აჯანყების ერთ-ერთი გმირის - საქართველოს დამფუძნებელი კრებისა და აფხაზეთის სახალხო საბჭოს წევრის, ეთნიკური აფხაზის ვასილ გურჯუას ფოტო აგერ ამშვენებს ჩვენს სხდომათა დარბაზს. აუცილებელია კონფერენციის ჩატარება, რათა აფხაზურ საზოგადოებას გავაცნოთ ქართველების მხარდამხარ საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ, საქართველოს დამოუკიდებლობისა და აფხაზეთის ავტონომიის აღდგენისთვის მებრძოლი ეთნიკური აფხაზები.

2024 წლის სექტემბერში სრულდება 200 წლისთავი გამოჩენილი სასულიერო მოღვაწის, აფხაზეთში 18 წლის განმავლობაში მოღვაწე მისიონერისა და პედაგოგის, რვა წლის განმავლობაში მისი ეპისკოპოსის, ქველმოქმედის, ქართული ეკლესიის წმინდანის ალექსანდრე ოქროპირიძის დაბადებიდან. განუზომელია ამ ადამიანის ღვაწლი აფხაზთა წინაშე, რომლის სრულფასოვნად წარმოჩენას, მოგეხსენებათ, აქვს ძალიან დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა. დაგეგმილია ალექსანდრე ოქროპირიძის აფხაზეთში მოღვაწეობის ამსახველი ათობით ახალი საარქივო დოკუმენტაციის გამოცემა შესაბამისი გამოკვლევისა და კომენტარების თანხლებით, ასევე საპატრიარქოსთან შეთანხმებით ამ თარიღისადმი მიძღვნილი კონფერენციის ჩატარება.

ამ დარბაზში არავის სჭირდება იმის ახსნა, თუ რა პოლიტიკური და იდეოლოგიური დატვირთვა აქვს ზემოაღნიშნული საიუბილეო თარიღებისა და მოვლენებისადმი მიძღვნილ კონფერენციებს, რომლებიც სოხუმის უნივერსიტეტთან თანამშრომლობით ჩატარდება. კონფერენციის მასალები კი გამოქვეყნდება. უმაღლესი საბჭო მომავალშიც მონაწილეობას მიიღებს აფხაზეთის მთავრობის, სოხუმის და სხვა უნივერსიტეტების, საერთაშორისო პოლიტიკური,

ჰუმანიტარული და არასამთავრობო მისიების მიერ დაგეგმილ ისეთ კონფერენციებში, რომლებიც აფხაზეთის პრობლემატიკისადმი იქნება მიძღვნილი.

დევნილ და ოკუპირებული ტერიტორიის მოსახლეობასთან მუდმივი ურთიერთობა უმაღლესი საბჭოს საქმიანობის ერთ-ერთი ყველაზე მთავარი მიმართულებაა. მას წარმართავს 2022 წელს აპარატში პირველად შექმნილი სპეციალური სამსახური ქ-ნ ნანა კვარაცხელიას ხელმძღვანელობით. აღნიშნული სამსახურის შემადგენლობაში შევიდა „ცხელი ხაზიც“ (ხელმძღვანელი გურამ მაღლაკელიძე), რომელიც 2020 წლის თებერვლიდან ფუნქციონირებს. „ცხელი ხაზის“ გახსნა მნიშვნელოვანი სიახლე გახლავთ უმაღლესი საბჭოს მუშაობაში. მისი მეშვეობით ხერხდება დევნილებთან უწყვეტი კავშირის შენარჩუნება, მათ წინაშე მდგარი პრობლემების შესწავლა, ანალიზი და, რაც მთავარია, შემოსულ განცხადებებზე რეაგირება. დევნილ მოსახლეობასთან კომუნიკაციის გაუმჯობესებისთვის, პირველ რიგში, საჭირო გახდა მათი ინფორმირება უმაღლესი საბჭოს „ცხელი ხაზის“ ფუნქციონირების შესახებ. ამ მიზნით, სატელეკომუკაციო კომპანია „მაგთიკომის“ მობილური ოპერატორების მეშვეობით გაიგზავნა 70 ათასამდე შეტყობინება, რომლითაც დევნილებმა მიიღეს მოკლე ინფორმაცია უმაღლეს საბჭოში „ცხელი ხაზის“ ამოქმედების შესახებ.

გაწეული მუშაობის შედეგები დამაკმაყოფილებელია. „ცხელ ხაზზე“ შემოსულია 4 ათასამდე ზეპირი შეტყობინება ან განცხადება, მათ შორის 900 – 2023 წელს. ყველაზე მეტად დევნილებს აწუხებთ საცხოვრებელი ფართის გამოყოფასთან ან მის დაკანონებასთან, ჯანდაცვასთან, საუნივერსიტეტო განათლებასთან, ერთჯერადი ფულადი დახმარების მიღებასთან დაკავშირებული საკითხები. შეტყობინებების დიდი ნაწილი ეხება ამა თუ იმ ჩასახლებისთვის საკვები პროდუქტების მიწოდებას, რომელსაც უმაღლესი საბჭო სოციალური სოლიდარობის პროგრამის ფარგლებში ახორციელებს. ბოლო ორი წლის განმავლობაში მკვეთრად იმატა იმ დევნილთა რიცხვმა, ვინც ითხოვს დახმარებას სოფლად სახლის შეძენასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებაში. საკითხი, რომლის გადაწყვეტა უშუალოდ უმაღლეს საბჭოს ეხება - იგულისხმება საკვები პროდუქტების მიწოდება - ოპერატიულად წყდება. ვინაიდან დანარჩენი საკითხები აღმასრულებელი ხელისუფლების კომპეტენციას განეკუთვნება, „ცხელი ხაზის“ ამოცანაა კვალიფიციური იურიდიული კონსულტაციის, სათანადო დოკუმენტაციის შედგენაში დახმარების აღმოჩენა, შემოსული თხოვნებისა და განცხადებების აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამის სტრუქტურებში გადაგზავნა. აფხაზეთის სამთავრობო დაწესებულებებთან, იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა სამინისტროს რეგიონალურ წარმომადგენლობებთან მჭიდრო და საქმიანი კავშირის წყალობით, „ცხელ ხაზზე“

შემოსული შეტყობინებები რეაგირების გარეშე არ დარჩენილა. ეს ყოველივე იმაზე მიუთეთებს, რომ უმაღლესი საბჭოს „ცხელი ხაზი“ არის წარმატებული პროექტი, რომელიც დევნილი მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს უკვე დაეხმარა და მომავალშიც დაეხმარება მათთვის უაღრესად მნიშვნელოვანი პრობლემების მოგვარებაში. „ცხელი ხაზის“ მუშაობის კიდევ უფრო გაუმჯობესების მიზნით აუცილებელია შემოსული შეტყობინებებისა და განცხადებების ავტორებთან უკუკავშირის დამყარება, მათი თხოვნების შესრულების მიმდინარეობისადმი ბოლომდე თვალყურის მიდევნება, მათი არ თუ ვერშესრულების შემთხვევაში კი სათანადო ზომების მიღება.

დევნილ მოსახლეობასთან ურთიერთობის ყველაზე საუკეთესო ფორმად ჩამოყალიბდა პერიოდული შეხვედრები ჰუმანიტარული აქციების თანხლებით. ასეთი ორგანიზებული შეხვედრები დაიწყო პანდემიის პერიოდში. პირველ რიგში, მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ კოვიდპანდემიაც თავისთავად იყო უმძიმესი გამოცდა ჩვენთვის და ეს გამოცდა ყველამ ერთად წარმატებით ჩავაბარეთ. იმ დროს, როდესაც მთელი ქვეყანა, მთელი მსოფლიო თითქოს გაჩერდა, უმაღლეს საბჭოს მუშაობა არ შეუწყვეტია - არ შეუწყვეტია, მიუხედავად იმ ტრაგედიისა, რომელიც ორი ჩვენი კოლეგის დაღუპვით დაგვატყდა თავს; არც განსაკუთრებულ სიდუხჭირეში აღმოჩენილი ჩვენი დევნილები დაგვიტოვებია მარტო თავიანთ პრობლემებთან. მალე შესრულდება ოთხი წელიწადი მას შემდეგ, რაც უმაღლესი საბჭოს წევრები, ორი დეპუტატის გამოკლებით, და აპარატის თანამშრომლები სრული შემადგენლობით ყოველთვიურად თავიანთი ხელფასებიდან გარკვეულ თანხას რიცხავენ ჩვენს მიერ ერთობლივად დაფუძნებული ა(ა)იპის - „სოციალური სოლიდარობისათვის“ ანგარიშზე. ასეთი ა(ა)იპის დაფუძნებისკენ გვიბიძგა კოვიდპანდემიის შედეგად 2020 წლის გაზაფხულიდან ქვეყანაში შექმნილმა უმძიმესმა ვითარებამ. პანდემიის შემდგომმა პერიოდმაც დაგვანახა, რომ, სამწუხაროდ, დევნილებს ჯერ კიდევ ძალიან სჭირდებათ დახმარება, მათ შორის საკვები პროდუქტებით. ამ გარემოების გათვალისწინებით უმაღლესი საბჭოს წევრთა დიდმა უმრავლესობამ მიიღო მყარი გადაწყვეტილება ჰუმანიტარული აქციების გაგრძელების შესახებ. გადაწყვეტილებას თავიდანვე შემოუერთდა აპარატის ყველა თანამშრომელი, გარდა ერთი პიროვნებისა, რომელიც სამსახურებრივი მოვალეობების არაჯეროვანი შესრულების გამო უმაღლეს საბჭოში დღეს არ მუშაობს. განვლილი პერიოდის განმავლობაში ჰუმანიტარულმა აქციამ სახე იცვალა და, როგორც მოგახსენეთ, დევნილ მოსახლეობასთან პერიოდული შეხვედრების ერთ-ერთ ძალიან ლამაზ, საქმიან და ორივე მხარისთვის სასარგებლო ფორმად ჩამოყალიბდა. დღემდე გაღებული ფულადი სახსრების ჯამი 255 337 ლარია. ამ არც თუ მცირე თანხით შეძენილია პროდუქტები, რომელთა საერთო მოცულობა

44 600 კგ შეადგენს. ეს უზარმაზარი ტვირთი უმაღლესმა საბჭომ საჩუქრის სახით გადასცა 5426 ოჯახს საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში თბილისიდან, რუსთავიდან, მარნეულიდან და ბორჯომიდან დაწყებული - ქუთაისით, ბათუმით, ფოთით, ზუგდიდითა და წალენჯიხით დამთავრებული.

საჩუქრების გადაცემა ხორციელდება წინასწარ ორგანიზებულ შეხვედრებზე, სადაც დევნილებთან მიმდინარეობს გულახდილი დიალოგი სხვადასხვა საკითხებზე - პოლიტიკაზე, განსაკუთრებით აფხაზეთზე, სოციალურ და ყოფით თემებზე. აღნიშნულ შეხვედრებში, როგორც წესი, აქტიურად მონაწილეობენ შესაბამისი მუნიციპალიტეტების პირველი პირები ან სხვა მაღალი რანგის მოხელეები, აფხაზეთის იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა სამინისტროს ხელმძღვანელები - მინისტრი ან მინისტრის ერთ-ერთი მოადგილე. ასეთ ფორმატში ჩატარებულ შეხვედრებზე დევნილები ღებულობენ ამომწურავ პასუხს მათ მიერ დასმულ ნებისმიერ კითხვაზე, ასევე ოპერატიულად მიიღება გადაწყვეტილება ამა თუ იმ ჩასახლებაში არსებულ პრობლემურ საკითხთან დაკავშირებით. თითოეულ ჩვენთაგანს აქვს დევნილებთან შეხვედრების დიდი გამოცდილება, მაგრამ ბოლო პერიოდის შეხვედრები გახდა უფრო საქმიანი, ამასთანავე გამოირჩევა მეტი გულწრფელობით, გულახდილობით, მეტი უშუალობითა და სითბოთი.

განვლილი სამი ათეული წლის შემდეგ გვიწევს ჩვენი თანამემამულეების ხელახლა გაცნობა. დეპუტატისთვის განსაკუთრებით საინტერესო და სასარგებლოა ურთიერთობა აფხაზეთშიც და დევნილობაშიც გამორჩეულ ადამიანებთან - პედაგოგებთან, ექიმებთან, სხვა სფეროს მუშაკებთან, ასევე ახალი თაობის ღირსეულ წარმომადგენლებთან - წარმატებულ სტუდენტებთან, მოსწავლეებთან, ახალგაზრდა სპორტსმენებთან. ადგილზე ჩასვლამდე ხდება ასეთი პიროვნებების გამოვლენა და შემდეგ მათი დაჯილდოება სხვადასხვა ხარისხის სიგელებით. ყველა თაობის დევნილისთვის ჯილდოს მიღება, მათი შრომის, ღვაწლის, მიღწევების დანახვა და დაფასება მათ მიერვე აფხაზეთში არჩეული დეპუტატების მხიდან, ხშირ შემთხვევაში, უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე პროდუქტების გადაცემა, თუმცა ერთსაც და მეორესაც დიდი სიამოვნებით იღებენ. ყოველი ასეთი შეხვედრა სულ უფრო მეტად და მეტად გვაახლოებს ჩვენს მრავალტანჯულ მოსახლეობასთან, სულ უფრო მეტად და მეტად გვხდის მისი სიხარულისა და თუნდაც გულისტკივილის თანაზიარად. ეს კი, დაგვეთანხმებით, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია განსაკუთრებით ჩვენს მდგომარეობაში მყოფი ჭეშმარიტი დეპუტატისთვის, რომელიც ვალდებულია არა ცარიელი სიტყვებით, არამედ საქმით ამოუდგეს მხარში დევნილებს და დაიცვას მათი ინტერესები. ამ თვის ბოლოსთვის იგეგმება მორიგი გასვლა ერთ-ერთ რეგიონში და იქ ჩვენი

დევნილების მონახულება. ნებისმიერ დეპუტატს აქვს მსგავს შეხვედრებში მონაწილეობის მიღების სრული უფლება და ვალდებულებაც კი.

დევნილებთან ყოველი შეხვედრის, ყოველი ჰუმანიტარული აქციის უკან დგას ადამიანთა გარკვეული ჯგუფის უზარმაზარი ძალისხმევა, ძალიან მძიმე და დამღლელი ფიზიკური შრომა, რომელიც იწყება მოსამზადებელ პერიოდში აქ, თბილისში, და მთავრდება დედაქალაქიდან შორს მდებარე ქალაქებსა თუ სოფლებში. ამ უკეთილშობილეს საქმეს ემსახურებიან გიორგი შელია, ნიკა და ხვიჩა ქარდავები, გელა პაპასქუა; მათ მხარში უდგანან შორენა მირცხულავა, თემურ ურიდია, ნინო ხუნჯუა, ნათია დარსანია, ვალტერ სანაია, ზურაბ ქეცბაია, ზურაბ ჯგუბურია (უმცროსი) და სხვები. მინდა ხაზგასმით აღვნიშნო - ჩვენს მიერ დასახელებული თანამშრომლები თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებაშიც წარმატებულები არიან. მადლობა მათ გაწეული შრომისთვის! განსაკუთრებული მადლობა ეკუთვნის დევნილებთან შეხვედრებისა და ჰუმანიტარული აქციების მთავარ ორგანიზატორს ნანა კვარაცხელიას, რომელიც თავის ძლიერ ორგანიზაციულ ნიჭთან ერთად, ამ საქმეს ახმარს დიდ ინტელექტუალურ და ფიზიკურ შრომას.

ბევრად უფრო მჭიდრო კავშირი უნდა დავამყაროთ საზღვარგარეთ მცხოვრებ ჩვენს თანამემამულეებთან. საგარეო კავშირები, უპირველეს ყოვლისა, ამ ადამიანების მეშვეობით უნდა გავაფართოვოთ. ვერ ვიტყვით, რომ ამ კუთხით მუშაობა არ მიმდინარეობს. არაერთი ვიზიტი განხორციელდა, მათ შორის გასულ სასესიო პერიოდში ევროპის ცალკეულ ქვეყნებში, სადაც შევხვდით დევნილებს აფხაზეთიდან. რამდენიმე დღის წინ პრეზიდიუმის სხდომაზე მოვისმინეთ ბ-ნ ზურაბ ჯგუბურიას ანგარიში ჰოლანდიაში დევნილებთან შეხვედრის შესახებ. ეს ყველაფერი ძალიან კარგია, მაგრამ არასაკმარისი. საზღვარგარეთ მცხოვრებ დევნილებს აშკარად მეტი ყურადღება და მეტი მორალური მხარდაჭერა სჭირდებათ. განსაკუთრებით ეს ეხება ახალგაზრდებს, რომლებიც უცხოეთში იზრდებიან. იმისათვის, რომ ქართველი ბავშვები არ მოსწყდნენ ეროვნულ ფესვებს, აუცილებელია მათი ჩართვა შესაბამის სახელმწიფო საგანმანათლებლო-კულტურულ პროგრამებში. სამწუხაროდ, ძალიან ბევრი ბავშვი აღნიშნული პროგრამების მიღმა რჩება, ამიტომ საჭიროა ჩვენი მხრიდანაც დამატებითი ზომების მიღება. საერთაშორიშო კავშირების, განათლებისა და კულტურის კომიტეტმა უკვე დაიწყო მოსამზადებელი სამუშაოები ამ მიმართულებით.

არ შევუდგებით იმის მტკიცებას, რამდენად მნიშვნელოვანია ურთიერთობის შენარჩუნება ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ ჩვენს თანამემამულეებთან. ამ მხრივ უნდა აღინიშნოს აფხაზეთის მთავრობისა და ცალკეული სამინისტროების მიერ წარმოებული აქტიური და მიზნმიმართული მუშაობა.

როგორც ცნობილია, ეს მუშაობა მიმართულია სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებისთვის ხელშეწყობისკენ. მიზანი კი არის ენგურს გაღმა მცხოვრებ ჩვენს თანამოქალაქეებთან შერიგება, ნდობის აღდგენა და იმავდროულად აფხაზეთის დეოკუპაციისთვის ხელშეწყობა. აქეთკენ იყო და არის მიმართული უმაღლესი საბჭოს თითქმის ყოველი პოლიტიკური გადაწყვეტილება, დადგენილება თუ განცხადება. აფხაზურ საზოგადოებასთან შერიგება რომ შესაძლებელია, ამაში გვარწმუნებს აღნიშნული საზოგადოების წარმომადგენლებთან ჩვენი კოლეგების საკმაოდ ხშირი შეხვედრები. არც თუ ისე დიდი ხნის წინ უმაღლესმა საბჭომ უმასპინძლა აფხაზეთიდან ჩამოსულ წარმომადგენლობით დელეგაციას, რომელმაც უაღრესად სასიამოვნო შთაბეჭდილება დატოვა თითოეულ ჩვენთაგანზე, ალბათ, ყველაზე მეტად ქ-ნ ადაზე, რომელიც იმ შეხვედრის ცენტრალური ფიგურა გახდა. ქ-ნ ადას მიმართ დელეგაციის წევრების ხაზგასმულად თბილი დამოკიდებულება პირადად ჩემთვის იყო ერთგვარი ტესტი, რომლის მეშვეობითაც შეგვიძლია ვიმსჯელოთ აფხაზური საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილში რეალურად არსებული განწყობების შესახებ. ალბათ, საჭიროა უფრო მჭიდრო თანამშრომლობა მთელ რიგ არასამთავრობო ორგანიზაციებთან, რომლებსაც ხელეწიფებათ მსგავსი შეხვედრების ორგანიზება.

თქვენი ყურადღება გვინდა გავამახვილოთ ოკუპირებული ტერიტორიის მოსახლეობის იმ ნაწილზეც, რომელიც დღეს ყველაზე დისკრიმინირებულია და დაჩაგრულია. საუბარი არის გალის რაიონის ქართულ მოსახლეობაზე. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, საბოლოო ჯამში, როგორც ეს ისტორიულად არაერთხელ მომხდარა, სწორედ მის პოზიციაზე ბევრად იქნება დამოკიდებული აფხაზეთის ხვალინდელი დღე. ამის თაობაზე ოკუპანტებმაც მშვენივრად იციან და ამიტომაც ცდილობენ გალის რაიონის მოსახლეობის უფლებების ძალადობრივი, შუასაუკუნეობრივი მეთოდებით დარღვევას, მათ ასიმილაციას ან ასეთივე მეთოდების გამოყენებით თავიანთი საცხოვრებელი ადგილებიდან განდევნას. გალის რაიონში არსებული მდგომარეობის შესახებ იცის მთელმა მსოფლიომ, რაზეც საერთაშორისო ორგანიზაციების მრავალრიცხოვანი რეზოლუციებიც მიუთითებენ, მაგრამ მხოლოდ რეზოლუციებით ვითარება უკეთესობისკენ არ შეიცვლება, პირიქით, უარესდება. ადამიანებს პირდაპირ აიძულებენ, რომ შეიცვალონ ეროვნული კუთვნილება. როგორც ვიცით, ამასთან დაკავშირებით გასული წლის 7 დეკემბერს დე ფაქტო კანონმდებლობაში, კერძოდ, ე. წ. კანონებში „სამოქალაქო მდგომარეობის აქტების შესახებ“, „სამოქალაქო კოდექსში“ და „სახელმწოფო ბაჟის შესახებ“ გარკვეული ცვლილებებიც კი შეიტანეს. ამრიგად, ქართველების მიმართ გრძელდება დიდი ხნის წინ დაწყებული გენოციდის პოლიტიკა. ოკუპანტების მთელი ძალისხმევა,

განსაკუთრებით „საგანმანათლებლო“ პოლიტიკა მოსწავლე ახალგაზრდობის დენაციონალიზაციისკენ, უფრო კონკრეტულად თუ ვიტყით - დექართველიზაციისკენ, შესაბამისად, გააფხაზებისკენ ან გარუსებისკენ არის მიმართული. სოციალურ ქსელებში გავრცელებული ამაზრზენი და სამარცხვინო ვიდეომასალების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, აღნიშნული პოლიტიკის პირველი წარმატებები სახეზეა, გალის რაიონი ფაქტობრივად მოწყვეტლია ქართულ საგანმანათლებლო სივრცეს. ეს არის სამწუხარო რეალობა, რომელსაც თვალი უნდა გავუსწოროთ, თუ გვსურს ამ რეალობის შეცვლა.

ოკუპანტთა „საგანმანათლებლო“ პოლიტიკის საპირწონედ უმაღლესი საბჭო 2014 - 2015 წლებიდან ყველა დონეზე აყენებდა საკითხს სწავლების ალტერნატიული ფორმის შემოღების შესახებ, რაც თანამედროვე ტექნოლოგიების პირობებში სავსებით შესაძლებელია. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული წინადადება ყველა დონეზე გაზიარებულია, ვერ ხერხდება პრაქტიკაში მისი დანერგვა სათანადო საკანონმდებლო ბაზის არარსებობის გამო. ასეთი საკანონმდებლო ბაზის შექმნა კი გაუმართლებლად ჭიანურდება. მინისტრის საათის ფარგლებში მოსმენების დროს უმაღლესმა საბჭომ სთხოვა აფხაზეთის განათლებისა და კულტურის მინისტრს, რომ მან განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე სწავლების ალტერნატიული ფორმის შემოღების საკითხს. ალბათ, უმაღლესმა საბჭომ და აფხაზეთის მთავრობამაც უნდა მიიღონ დამატებითი ზომები ამ პრობლემის მოსაგვარებლად.

საპილოტე პროექტმა, რომელიც უმაღლეს საბჭოში 2019 წლიდან ქ-ნ ნანა კვარაცხელიას ხელმძღვანელობით ხორციელდება, ასევე ქ-ნ ეკა ხოფერიას ძალისხმევით შექმნილმა საკვირაო სკოლამ მთელს ქვეყანას დიდი ხანია დაუმტკიცა, რომ: (1) ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებობს ალტერნატიული სწავლების შემოღების აუცილებლობაც და, საბედნიეროდ, მოთხოვნილებაც; (2) მარტო უმაღლესი საბჭოს საპილოტე პროექტისა და საკვირაო სკოლის მეშვეობით, რომლებიც ერთობლივად მოსწავლეთა დაახლოებით 5-7 პროცენტს მოიცავენ, ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილება, შესაბამისად, პრობლემის მოგვარება შეუძლებელია; (3) ორგანიზაციული, ტექნიკური და მეთოდიკის თვალსაზრისით სავსებით შესაძლებელია ოკუპირებულ ტერიტორიაზე ქართულენოვანი დისტანციური სინქრონული და ასინქრონული სწავლების შემოღება მასში მოსწავლეთა სრული კონტინგენტის ჩართულობით და (4) სწავლების ალტერნატიული ფორმა უნდა გახდეს ქართული საგანმანათლებლო პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი, რისთვისაც აუცილებელია სამართლებრივ ჩარჩოებში მისი მოქცევა. სწორედ სამართლებრივი რეგულირება გახლავთ უმთავრესი პრობლემა, რომელიც საჩქაროდ, მიმდინარე სასწავლო წლის ბოლომდე მაინც უნდა მოგვარდეს.

ამ ტრიბუნიდან არაერთხელ თქმულა, რომ ოკუპირებულ ტერიტორიაზე დისტანციური ქართულენოვანი სწავლების პროექტი უმაღლესი საბჭოსთვის საგანმანათლებლოსთან ერთად პოლიტიკური პროექტიცაა. ეს არის იქაურ მოსახლეობასთან ურთიერთობის დამყარების ერთ-ერთი გზა და საშუალება; მისი მეშვეობით ჩვენ ვურთიერთობთ ახალგაზრდებთან - სტუდენტებთან, მოსწავლეებთან, ასევე მათ მშობლებთან, პედაგოგებთან. მიმდინარე 2023/24 სასწავლო წელს ამ პროექტში ჩართულია 156 მოსწავლე და 17 სტუდენტი აფხაზეთიდან. განვლილი ხუთი წლის განმავლობაში აღნიშნული პროექტის ფარგლებში ქართულ და ინგლისურ ენებს ეუფლებოდა 479 მოსწავლე და 200 სტუდენტი. დისტანციური სწავლება უმაღლესი საბჭოსთვის, როგორც მოგახსენეთ, პოლიტიკური პროექტიც არის. პრაქტიკის ენაზე ეს იმას ნიშნავს, რომ ოკუპირებულ ტერიტორიაზე ჩვენთვის სასურველ პოლიტიკას ვახორციელებთ სასარგებლო საქმის - ქართულენოვანი სწავლების მეშვეობით. მისასალმებელია, რომ ნანა კვარაცხელიამ, რომელიც არის აღნიშნული პროექტის მთავარი სულისჩამდგმელი და წარმმართველი, უკვე ორჯერ მოიპოვა საერთაშორისო აღიარება. არსებობენ საერთაშორისო ორგანიზაციები, რომელთა მიზანია განათლებასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარება კონფლიქტების, პანდემიის, სტიქიური უბედურების ან სხვა მიზეზების გამო რთულად მისაწვდომ რეგიონებში. პერიოდულად ისინი აწყობენ „გლობალური განათლების“ სამიტებს. საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე განხორციელებული პროექტისთვის „გლობალური განათლების“ სამიტმა, რომელიც 2022 წლის 30 მაისს ნიუ დელიში გაიმართა, ქ-ნ ნანას გადასცა ჯილდო „მსოფლიოს შთამაგონებელი ქალი - 2022“. „გლობალური განათლების“ სამიტზე, რომელიც სამი კვირის წინ - 2024 წლის 14 იანვარს - ქ. დუბაიში შედგა, ქ-ნმა ნანამ მიიღო ახალი ჯილდო - „გამორჩეული სპიკერი საქართველოდან - 2023“. ორივე შემთხვევაში მას ჰქონდა უზარმაზარი საერთაშორისო აუდიტორიის წინაშე გამოსვლის, აფხაზეთში განათლების კუთხით არსებული ვითარების წარმოჩენისა და სხვა ქვეყნებისთვის საკუთარი გამოცდილების გაზიარების შესაძლებლობა.

ძვირფასო მეგობრებო! შეგვიძლია კიდევ ბევრი ვისაუბროთ გაკეთებულ კონკრეტულ საქმეებზე, უმაღლესი საბჭოს კომიტეტების, ცალკეული დეპუტატების, აპარატის, მისი წევრების საქმიანობაზე, მაგრამ, ვფიქრობთ, ამჯერად ამის აუცილებლობა არ არის. მინდა დაგარწმუნოთ, რომ არავისი შრომა შეუმჩნეველი და დაუფასებელი არ დარჩება. მიმდინარე სასესიო პერიოდის ბოლომდე პატივცემული კომიტეტების თავმჯდომარეები ზუსტად ამ ტრიბუნიდან წარმოადგენენ თავიანთ ანგარიშებს, რომლებითაც შეავსებენ დღეს წარმოდგენილ მიმართვაში მოტანილ ფაქტობრივ მასალას, დააკონკრეტებენ გაკეთებულ დასკვნებსა და შეფასებებს, ასევე სამომავლო გეგმებს. ამჯერად

თქვენს ყურადღებას გავამახვილებთ მხოლოდ ორ თუ სამ მნიშვნელოვან პრობლემაზე, რომელიც, გაწეული ძალისხმევის მიუხედავად, ამ ხუთი წლის განმავლობაში ვერ გადავწყვიტეთ. მათ შორის ერთ საკითხზე უკვე მოგახსენეთ - უნდა მივაღწიოთ, რომ საქართველოს მოქალაქეობა აღიდგინონ უცხოეთში იძულებით გადახვეწილმა ჩვენმა თანამემამულეებმა, მათმა შთამომავლებმა, ასევე ენგურს გაღმა მცხოვრებმა ადამიანებმა, ვისთანაც გვსურს შერიგება, ვისაც უფასოდ ვაწვდით ძვირადღირებულ სამედიცინო მომსახურებას, ვისაც მზად ვართ უფასოდ მივცეთ განათლება თბილისის, ევროპისა და ამერიკის უნივერსიტეტებში. ასევე უნდა მივაღწიოთ აფხაზეთიდან დევნილების მიერ იქ დატოვებული საკუთრების რეგისტრაციას საჯარო რეესტრში, სანამ ეს გვიანი არ არის. უნდა გავაგრძელოთ ძალისხმევა, რომ საქართველოს პარლამენტში და ცალკეულ საკრებულოებში აფხაზეთიდან, ასევე ცხინვალის რეგიონიდან დევნილებს ჰყავდეთ საკუთარი წარმომადგენლობა. შეგახსენებთ, რომ ამასთან დაკავშირებით თავის დროზე მივმართეთ საქართველოს პარლამენტს. მიმართვამ მხოლოდ ნაწილობრივ გამოიღო შედეგი - რამდენიმე საკრებულოში არიან დევნილთა წარმომადგენლები, მაგრამ ეს საკმარისი არ არის.

მთლიანობაში თუ შევაჯამებთ განვლილი ხუთი წლის განმავლობაში გაწეულ მუშაობას, შეიძლება ითქვას, რომ უმაღლესი საბჭო ბევრად უფრო აქტიურად, ვიდრე წინა წლებში, ახორციელებდა ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ სახელმწიფოს მიერ განსაზღვრულ პოლიტიკას; მისი საქმიანობა ახალ, უფრო მაღალ ხარისხშია აყვანილი, რაც დეპუტატთა აბსოლუტური უმრავლესობის ძალისხმევითა და დამსახურებით არის მიღწეული; უმაღლესი საბჭო თავისი კომპეტენციის ფარგლებში დაკავებული იყო უმნიშვნელოვანესი სამართლებრივი და პოლიტიკური საკითხებით, რომლებზეც, საბოლოო ჯამში, დამოკიდებულია შერიგების პოლიტიკის წარმატება, აფხაზეთის დეოკუპაცია, კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარება, დევნილების საკუთარ სახლებში დაბრუნება, საქართველოს გამთლიანება. ყველა ამ მიმართულებით საქმიანობა აუცილებლად გაგრძელდება. სპიკერატის, მთლიანად დეპუტაციის მიერ ერთობლივად გაწეულ მუშაობას როგორი მაღალი შეფასებაც არ უნდა მივცეთ, უმაღლესი საბჭო მისი შედეგებით კმაყოფილი მაინც ვერ იქნება - ვერ იქნება აფხაზეთზე საქართველოს იურისდიქციის აღდგენამდე, განგებით ჩვენზე დაკისრებული ისტორიული მისიის შესრულებამდე.

მადლობა ყურადღებისთვის.

2024 წლის 6 თებერვალი.